საქართველოს რესპუბლიკა

გამოდის 1918 წლის 25 ივლისიდან

იმისთანა ჭმინდა საქმეში, რაგორიც ბეჭდვური სიტყვაა, ცუდილებით და ჭირებით ბუტრუნის გაფანა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.

ორშაბათი, 26 თებერვალი. 2020 წ. №35 (8961) | ელ.ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@top.ge | ფასი 60 თეთრი

საცოდავი სანახაობაც, ორმხრივი თავხედობაც, სირცხვილიც!..

ლავროვმა ქართველ ჟურნალისტებს ავადმყოფები უწოდა!

რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა სერგეი ლავროვმა ავადმყოფები უწოდა ქართველ ჟურნალისტებს, რომლებიც ჟენევაში, გაეროს ოფისში, ცდილობდნენ მისგან პასუხი მიეღოთ, დაესწრება თუ არა თბილისში ევროსაბჭოს მინისტრთა კომიტეტის სხდომას. **„თქვენ ავად ხართ, გოგოებო!“** — ასე მიმართა ლავროვმა საზოგადოებრივი მაუწყებლის და „იმედის“ ჟურნალისტებს.

რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს ოფიციალურმა წარმომადგენელმა მარია ზახაროვამ ფეისბუქზე დაწერა, რომ ქართველი ჟურნალისტი ქალები რუსეთის დელეგაციას მივარდნენ. ზახაროვა წერს, რომ ჟურნალისტები ყვირილით და ჯაჯგურით ცდილობდნენ რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრთან მიახლოებას. ზახაროვას განცხადებით, იძულებული იყვნენ გვერდზე გაეწიათ ღირსებადაკარგული ქალები, რომლებსაც მხოლოდ ის აინტერესებდათ, ჩავა თუ არა ლავროვი თბილისში. ზახაროვა წერს, რომ ეს იყო საცოდავი სანახაობა.

რუსეთის დელეგაცია ჟენევაში იმყოფება გაეროს ადამიანის უფლებათა საბჭოს 43-ე სესიაში მონაწილეობისთვის. მაისში საქართველომ ევროსაბჭოს მინისტერიალს უნდა უმასპინძლოს, როგორც ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის თავმჯდომარე ქვეყანამ. მინისტერიალში, ტრადიციულად, მონაწილეობენ საგარეო საქმეთა მინისტრები. საქართველოში რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრის სერგეი ლავროვის ჩამოსვლის შემთხვევაში, საპროტესტო აქციებს გეგმავენ სამოქალაქო აქტივისტები და ოპოზიციის ნაწილი. ლავროვს დარღვეული აქვს საქართველოს კანონი ოკუპირებული ტერიტორიების შესახებ.

რადიო „თავისუფლება“

...წითლად დალაქავებული 25 თებერვლის გაზეთები

...მომენტი მოითხოვს, რომ მოხდეს ყოველი ძალების მობილიზაცია. მთავრობა მეთაურობას გვიწევს თავდაცვის საკითხებში და ჩვენც ყველანი მოვალენი ვართ, მჭიდროდ გავერთიანდეთ მის გარშემო, დავივიწყოთ პარტიული განსხვავება, ყოველგვარი განხეთქილება, უსიამოვნება, თუ გნებავთ, ცხადი უსამართლობაც. ჯერ მტრის დამარცხება და ჩვენი დამოუკიდებლობის განმტკიცება, მერე შინაური საქმეების მოგვარება.

იხ. 2, 6 გვ.

ვინ აფინანსებდა არჩევნებში ზვიად გამსახურდიას?! 5

კიდევ ერთი შემზარავი ტრაგედია!

სამტრედიასთან ავტოსაგზაო შემთხვევა მოხდა, რასაც ხუთი ადამიანის სიცოცხლე ემსხვერპლა. სამტრედიის შესასვლელთან ერთმანეთს საპირისპირო მიმართულებით მოძრავი ტრაილერი და მინივენი შეეჯახნენ. შემთხვევის შედეგად მინივენის მგზავრები დაიღუპნენ.

სააკაშვილმა წამოაყრანტალა, რომ მერაბიშვილი მიუღებელია მისთვის... 4

The Washington Times

გიორგი გახარია:

საქართველო იმსახურებს ნატოს წევრობას!

ამერიკული გამოცემა The Washington Times აქვეყნებს საქართველოს პრემიერ-მინისტრ გიორგი გახარიას სტატიას სათაურით — „საქართველო იმსახურებს ნატოს წევრობას — ქვეყანას სასიცოცხლო მნიშვნელობა აქვს შავი ზღვის გეოპოლიტიკური უსაფრთხოებისთვის“.

პუბლიკაციაში საქართველოს მთავრობის მეთაური ყურადღებას ამახვილებს შავი ზღვის უსაფრთხოების მნიშვნელობაზე, განსაკუთრებით მზარდი გამოწვევების გათვალისწინებით და ხაზს უსვამს საქართველოს როლს ამ მიმართულებით.

„ბოლო დღეებში უკრაინაში საომარი მოქმედებების განახლება კიდევ ერთხელ უსვამს ხაზს, თუ რა დევს სასწორზე შავი ზღვის რეგიონში, რომელიც კონკურენტი გეოპოლიტიკური ძალების ყურადღების ცენტრშია მოქცეული. შავი ზღვა წარმოადგენს ბუფერულ ზონას ევროპის აღმოსავლეთის ფლანგზე, რითაც წვლილი შეაქვს ევროპის, ნატოს და აშშ-ის ინტერესების დაცვაში მტრულად განწყობილი ძალებისგან. ამავე დროს, შავი ზღვა, ძვირადღირებული პროდუქციით, მათ შორის დიდი ოდენობის ამერიკული ექსპორტით, იქცევა ვაჭრობის გზაჯვარედინად ევროპიდან აზიაში და აზიიდან ევროპაში უმოკლესი მარშრუტის თვალსაზრისით. შავი ზღვა ასევე მდებარეობს სასიცოცხლო მნიშვნელობის ენერგორესურსების სატრანზიტო მილსადენების გეოგრაფიულ არეალში, რომლებიც მიედინება ევროპისა და მსოფლიოს ბაზრებისკენ“, — აღნიშნავს საქართველოს პრემიერი.

სტატიის თანახმად, რუსეთისთვის შავი ზღვა წარმოადგენს კარიბჭეს ისეთი სანუკვარი, მაგრამ დაშორებული ფრონტებისკენ, როგორიცაა სირია, ჩრდილოეთ აფრიკა და აღმოსავლეთ შუაზღვისპირეთის გარკვეული რეგიონები. თუმცა, შავი ზღვის საზღვრებს გარეთ გასასვლელად, ასევე მასში აშშ-ის და სხვათა შემოსვლის თავიდან ასაცილებლად, რუსეთმა უნდა განახორციელოს ზეწოლა შავიზღვისპირა სხვა ქვეყნებზე, რომლებიც მდებარეობენ ბოსფორის სიახლოვეს. ბოსფორის სრუტე თურქეთის გავლით ერთმანეთთან აკავშირებს შავ ზღვას და მსოფლიო ოკეანის უფრო მსხვილ ნაწილებს სამხრეთით.

იხ. 3 გვ.

საქართველოს პრეზიდენტი გორის სამხედრო ბაზას ეწვია

საქართველოს საბჭოთა ოკუპაციის დღესთან დაკავშირებით საქართველოს პრეზიდენტი გორის სამხედრო ბაზას ეწვია. სალომე ზურაბიშვილმა გმირთა მემორიალი ყვავილებით შეამკო. გორის სამხედრო ბაზაზე პრეზიდენტმა პატაკი ჩაიბარა და სამხედროებსა და იუნკრებს სიტყვით მიმართა.

დღევანდელ დღეს შეიარაღებული ძალების ბაზაზე სალომე ზურაბიშვილმა გენერალ გიორგი კვინიკაძის სახელობის მუზეუმი გახსნა. ამ მუზეუმში ინახება კვინიკაძის ხანჯალი და შინდისის გმირების მუნდირები. ღონისძიების ფარგლებში პრეზიდენტმა ჯარისკაცებს სამახსოვრო საჩუქარი გადასცა, სამხედროებმა კი სალომე ზურაბიშვილს სუვენირი აჩუქეს.

ღონისძიების დასასრულს პრეზიდენტმა ჯარისკაცებთან ერთად ისადილა.

სალომე ზურაბიშვილი: გამარჯვებაა ის ფაქტი, რომ...

გამარჯვებაა ის ფაქტი, რომ დღეს მე, იმ ემიგრაციის წარმომადგენელი ვდგავარ თქვენს წინაშე, როგორც თქვენი პრეზიდენტი და თქვენ ხართ სამართალმემკვიდრეები იმ გმირი იუნკრების, რომლებიც ტაბახმელასა და კოჯორში იბრძოდნენ, — ასე მიმართა საქართველოს პრეზიდენტმა სალომე ზურაბიშვილმა იუნკრებს ეროვნულ თავდაცვის აკადემიაში შეხვედრაზე. მისი თქმით, 25 თებერვალი არ არის დამარცხების დღე, რადგან ბრძოლა დამოუკიდებლობისთვის საქართველოში გაგრძელდა და 1991 წელს გამარჯვებით დასრულდა.

თავდაცვის მინისტრმა იუნკრების მემორიალი გვირგვინით შეამკო

საქართველოს თავდაცვის მინისტრმა ირაკლი ღარიბაშვილმა 1921 წლის თებერვალში საქართველოს დამოუკიდებლობისთვის ბრძოლებში დაღუპული იუნკრები კიდევ ერთხელ გაიხსენა.

ირაკლი ღარიბაშვილმა კოჯორ-ტაბახმელას ტერიტორიაზე მდებარე მემორიალი გვირგვინით შეამკო და გმირულად დაღუპული ახალგაზრდების ხსოვნას წუთიერი დუმილით პატივი მიაგო. მემორიალთან საქართველოს თავდაცვის ძალების მეთაური, გენერალ-ლეიტენანტი ვლადიმერ ჩაჩიბაია და თავდაცვის ძალების წარმომადგენლები იმყოფებოდნენ.

აშშ-ის საელჩო: ამერიკა საქართველოს გვერდით დგას!

დღეს, საბჭოთა ოკუპაციის დაწყებიდან 99 წლის შემდეგ, შეერთებული შტატები საქართველოს გვერდით დგას მძიმე ბრძოლით მოპოვებული სუვერენიტეტისა და ტერიტორიული მთლიანობის დასაცავად, — ამის შესახებ საქართველოში აშშ-ის საელჩოს მიერ გავრცელებულ განცხადებაში წერია, რომელიც საბჭოთა ოკუპაციის დღესთან დაკავშირებით გავრცელდა.

„დიდმა ქართველმა მწერალმა მიხეილ ჯავახიშვილმა აღწერა, როგორი იყო იმ დროებაში ცხოვრება. ჩვენ არასდროს დავივიწყებთ მის სიტყვებს:

„25 თებერვალს მე ვიგრძენი, თუ როგორ შემოვიდა ტანში მჭრელი მახვილი, რომელიც მას აქეთ დღითი დღე უფრო ღრმად მერჭობა. გაფითრებული ვარ და ტანში მუდმივი ჟრჟოლა მივლის. ეხლა სატევრის წვერი ზედ გულზე მაქვს დაბჯენილი და ვგრძნობ, ოდნავ რომ შევინძრე, ჩამესობა და ისე გამათავებს, რომ გმინვის ამოღებასაც ვეღარ მოვასწრებ“, — წერია საელჩოს განცხადებაში. საქართველოს პარლამენტის 2010 წლის 21 ივლისის დადგენილების თანახმად, 25 თებერვალი საბჭოთა ოკუპაციის დღედ არის გამოცხადებული. ამ დღესთან დაკავშირებით საქართველოს მთელ ტერიტორიაზე, ყველა ადმინისტრაციულ შენობასა და საქართველოს დიპლომატიურ წარმომადგენლობებში დროშები დაუშვეს.

ირაკლი სესიაშვილი: ჯარი საუკეთესო პროდუქტით მარაგდება

— ამის შესახებ საპარლამენტო უმრავლესობის ლიდერმა ირაკლი სესიაშვილმა თავდაცვის სამინისტროს ტენდერებთან დაკავშირებით ჟურნალისტებს განუცხადა.

„კვებასთან დაკავშირებით მსოფლიოში გარკვეული პრობლემებია, იგივე ღორის ხორცთან დაკავშირებით. ამიტომ, პრობლემებია მოწოდებასთან დაკავშირებით. ცხადია, სამინისტრო ყველაფერს აკეთებს, რათა ჯარისთვის რამე დეფიციტი არ შეიქმნას. ჩემი მხრიდან მე ვერ ვხედავ რამე კითხვის ნიშნებს. სამინისტრო ყველაფერს აკეთებს იმისთვის, რომ ჯარს დროულად მიეწოდოს ყველა საჭირო პროდუქტი. თუ რაიმე კითხვები იქნება, ამას საპარლამენტო რეჟიმშიც განვიხილავთ. აბსოლუტურად ყველა შესყიდვასთან დაკავშირებით, როგორც ღიად, ისე დახურულ რეჟიმში ვმსჯელობთ იმისდა მიხედვით, რომელია საიდუმლო შესყიდვა. შესაბამისად, მინდა საზოგადოება დავარწმუნო, რომ არანაირი პრობლემა არ არსებობს. შემიძლია გითხრათ, რომ დღესდღეობით ჯარი მარაგდება როგორც საუკეთესო პროდუქტით, ასევე ჩვენს ჯარს აქვს ყველაზე კარგი, უმაღლესი ხარისხის სამხედრო ფორმა და ფეხსაცმელი“, — განაცხადა ირაკლი სესიაშვილმა.

„ლაზიკა“ 8 წლისაა

ლაზიკა — ქართული წარმოების მუხლუხიანი მსუბუქი ქვეითთა საბრძოლო მანქანა, განკუთვნილი მექანიზირებული ათეულის უშუალოდ ფრონტის წინა ხაზამდე უსაფრთხოდ გადასაყვანად და მათი საცეცხლე მხარდაჭერისთვის. მისი საჩვენებელი გამოცდა შედგა 2012 წლის 25 თებერვალს, ვაზიანის სამხედრო პოლიგონზე. ჯავშანი კომბინირებული ტიპისაა და წინა პროექციიდან უზრუნველყოფს 14,5 მმ კალიბრის ჯავშანგამტარი ტყვიებისგან დაცვას. ფსკერის ნაღმსაწინააღმდეგო დაცვა STANAG-ის IV დონისაა და 10 კილოგრამი ტროტილის ეკვივალენტ აფეთქებაზეა გათვლილი. მოდულური კონსტრუქცია საშუალებას იძლევა, ბორტებზე დამონტაჟდეს დამატებითი საჯავშნე ელემენტებიც. მანქანას გააჩნია სტანდარტული ქსმ-ის კონსტრუქცია, მის წინა მარჯვენა ნაწილში განთავსებულია ძრავის ნაკვეთური, მის მარცხნივ მძღოლ-მექანიკოსი. უკანა ნაწილი მთლიანად სადესანტო ნაკვეთურს უკავია. პირადი შემადგენლობის მანქანიდან სწრაფი დესანტირებისთვის კი დაყენებულია გასაშლელი რამპა, რომელშიც დამატებით ამოჭრილია პატარა კარი.

...წითლად დალაქავებული 25 თებერვლის გაზეთები

საქართველოს შეიარაღებულმა ძალებმა თბილისი 25 თებერვალს, გათენებამდე დატოვეს, მანამდე დედაქალაქის დამცველებმა მოიგერიეს ბოლშევიკების ორი იერიში და 23 თებერვლისთვის მტერი თბილისის მისადგომებიდან უკუაქციეს. სოღანლუღთან ბრძოლაში მოკლეს 530 და ტყვედ აიყვანეს მტრის 1600 ჯარისკაცი, შესაბამისად, თბილისის დამცველთა საბრძოლო სულისკვეთება მაღალი იყო როგორც სამხედრო ნაწილებში, ასევე საზოგადოებაში, რაზეც მეტყველებს 25 თებერვალს გამოსულ გაზეთებში გამოქვეყნებული ოპტიმისტური სტატიები, ცნობები მობილიზაციისა და

სასწავლო სროლების გაგრძელების შესახებ. მაინც რას წერდა 1921 წლის 25 თებერვლის ქართული პრესა?

1921 წლის 25 თებერვალს გამოსული „ერთობა“ სავსეა „სამგლოვიარო ბარათებითა“ და ნეკროლოგებით; გაზეთი იუწყება, რომ კოჯრის მიდამოებში მტრის იერიშს გმირულად და მამაცურად შეეწირნენ ლეინტენანტი ვალიკო გარდაფხაძე და რიგითი ჯარისკაცები, რომ სოღანლუღში მძიმედ დაჭრის შემდეგ გარდაიცვალა №1 ჯავშნიანი მატარებლის გვარდიელი გერონტი ბერძენიშვილი.

23 თებერვალს სამხედრო ტაძრის ეზოში დაკრძალული მეომრების ხსოვნას ეძღვნება **„საქართველოს რესპუბლიკაში“** გამოქვეყნებული სტატია „გმირთა ხსოვნას“... თუმცა ყველა წერილი და სტატია, მათ შორის მიძღვნილი დაღუპული სამხედროებისადმი, გაჟღენთილია საბრძოლო სულისკვეთებითა და გამარჯვების იმედით. თვალის ერთი გადავლებითაც ჩანს, რომ რედაქციის თანამშრომლებმა არ იცოდნენ, რომ ნომრის ქსელში გაშვების დროს დედაქალაქი მტრის ხელში იქნებოდა გადასული.

„სად მიდიხართ ასე ერთად, ერთგულად შეთქმულნი? იქნებ ისწრაფით წინაპართა, აჩრდილ გარდასულთ ხილვას?“, — მიმართავს **„საქართველოს რესპუბლიკის“** ავტორი გმირულად დაღუპულ მებრძოლებს, — „მაშ თუ ასეა — უამბეთ: საქართველოს გამარჯვება. თქვენ თვით გამარჯვებულნი წარსდექით მათ წინაშე და მათთან ერთად მიიღეთ უკვდავების სახელი. უთხარით, რომ ქართველი ერი აღდგა და დაამსხვრია მონობის ბორკილი. საქართველო ისევ ძლიერია და მაგარი. საქართველო დაიცავს თქვენ ძვირფას ხსოვნას“.

იხ. 6 გვ.

გიორგი გახარია:

საქართველო იმსახურებს ნატოს წევრობას!

(პირველი გვერდიდან) ხსენებული ზეწოლა გამძაფრდა რუსეთის მიერ უკრაინისგან ყირიმის მიტაცების შემდეგ. მანამდე კი, 2008 წელს, რუსეთმა განახორციელა საქართველოს ტერიტორიის თითქმის 20 პროცენტის ოკუპაცია, საქართველოს კრიტიკულად მნიშვნელოვანი სტრატეგიული სანაპირო ტერიტორიის – აფხაზეთის ჩათვლით. რუსეთის მხრიდან ჩვენი მიწების უკანონო ოკუპაცია დღესაც გრძელდება. რუსეთის მცდელობები, შეიტანოს დესტაბილიზაცია ბალკანეთის რეგიონში, განსაკუთრებით კი შავი ზღვისპირა ქვეყნებში, ერთმნიშვნელოვნად დასტურდება დოკუმენტურად. რუსეთს არ სჭირდება ამ ნატოს წევრი სახელმწიფოების ოკუპაცია, რათა განახორციელოს თავისი სტრატეგიები შავ ზღვაზე.

სტატიაში აღნიშნულია, რომ შავ ზღვას ესაზღვრება ნატოს სამი წევრი ქვეყანა: რუმინეთი, ბულგარეთი და თურქეთი, ასევე ნატოს ასოცირებული წევრი – საქართველო. შავი ზღვის გეოპოლიტიკური უსაფრთხოების უზრუნველყოფა წარმოადგენს გამოწვევას, რომლის გადაწყვეტაც შეუძლებელია საქართველოს მხარდაჭერის გარეშე. თავისი გეოგრაფიული მდებარეობის, თავდაცვისა და უსაფრთხოების სფეროებში მიღწევების, ასევე დასავლური და ტრანსატლანტიკური მიზნებისადმი დადასტურებული ერთგულების წყალობით, საქართველო წარმოადგენს ნატოს ფარგლებში თანამშრომლობის ახალი სტრატეგიების არსებითი მნიშვნელობის ქვაკუთხედს.

„ამერიკის შეერთებული შტატები მტკიცედ უჭერს მხარს ნატოში საქართველოს გაწევრიანებას, რისთვისაც ჩვენ დიდ მადლიერებას გამოვხატავთ. აშშ-ის მაღალი რანგის პოლიტიკური ფიგურები, მაგალითად, აშშ-ის თავდაცვის მდივანი მარკ ესპერი, ასევე აღიარებენ საქართველოს უნიკალურ უნარს, შეასრულოს სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი როლი შავ ზღვაზე. შავი ზღვის უსაფრთხოება, უსაფრთხოების და თავდაცვის სფეროებში დღევანდელობის სხვა ახალ აქტუალურ საკითხებთან ერთად, წარმოადგენდა ჩვენი შეხვედრის მთავარ თემას მიუნხენის უსაფრთხოების კონფერენციის ფარგლებში. ესპერმა აღნიშნა თავდაცვის სფეროში აშშ-საქართველოს თანამშრომლობის მნიშვნელობა და მისი არსებითი როლი ამ ახლად წარმოქმნილ გამოწვევებთან ბრძოლაში. საქართველო უკვე ხარჯავს თავისი მთლიანი შიდა პროდუქტის 2 პროცენტზე მეტს თავდაცვაზე და ჩვენ მხარში ვუდგავართ აშშ-სა და ნატოს ყოველთვის და ყველგან, სადაც მათ ეს ესაჭიროებათ“, – ნათქვამია სტატიაში.

ამასთან, სტატიის თანახმად, დავოსის ბოლო ფორუმზე თურქეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა მევლუთ ჩავუშოღლუმ მოუწოდა ნატოში საქართველოს დაუყოვნებლივ მიღებისკენ სრულუფლებიანი წევრის სტატუსით, მიუთითა რა შავ ზღვაზე უსაფრთხოების და ნატოს მხრიდან შესაბამის გამოწვევებზე პასუხის გაცემის მზარდ საჭიროებაზე. უკრაინაში ვიზიტის დროს კი თურქეთის პრეზიდენტმა რეჯეფ თაიფ ერდოღანმა კიდევ ერთხელ დააადასტურა თურქეთისა და ნატოს მტკიცე დამოკიდებულება შავი ზღვის უსაფრთხოების მიმართ. გარდა ამისა, თურქეთი უკვე დიდი ხანია, აღიარებს, რომ შავი ზღვა წარმოადგენს რეგიონის სტრატეგიული კონტექსტის გეოპოლიტიკურ ცენტრს.

პრემიერ-მინისტრის სტატიაში ნათქვამია, რომ „რუსეთი დღესაც ეწინააღმდეგება საქართველოს სრულფასოვან წევრობას ნატოში. სწორედ ახლა დადგა დრო, ნატომ უპასუხოს ჩვენს მოთხოვნას ნატოში გაწევრიანებასთან დაკავშირებით. ნატოს ლიდერებმა არაერთხელ აღუთქვეს საქართველოს ნატოს სრული წევრობა და ჩვენ გვჯერა, რომ ნატოში ჩვენი შესვლის წინაშე არსებული გამოწვევები უახლოეს მომავალში გადაიჭრება. მეტი საქართველო ნატოში და მეტი ნატო საქართველოში გააძლიერებს შავი ზღვის და დასავლეთის უსაფრთხოებას, ასევე საქართველოს დემოკრატიას და მზარდ ეკონომიკას.

მანამდე კი, საქართველო გააგრძელებს მჭიდრო თანამშრომლობას ამერიკის შეერთებულ შტატებსა და ნატოს სხვა წევრებთან, რათა განამტკიცოს შავი ზღვის უსაფრთხოება, რაც ბოლო წლებში გულისხმობდა ნატოს ოპერაციებისთვის კარგად გაწვრთნილი მებრძოლების მომზადებას და ნატოსა და აშშ-ის თავდაცვითი მოქმედებების გაფართოებას, მათ შორის საქართველოს ტერიტორიაზე ტექნიკის განთავსებას და ხშირი ერთობლივი სამხედრო წვრთნების ორგანიზებას. ჩვენი მიზანია ერთობლივი წვრთნების გაფართოება, ჩვენი პორტების უფრო აქტიურად ჩართვა და ჩვენი საზღვაო ინფრასტრუქტურის შემდგომი განვითარება შავი ზღვის უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად“.

სტატიაში გიორგი გახარია აღნიშნავს, რომ ქართველები სამართლიანად ამაყობენ სასიცოცხლო მნიშვნელობის ტრანსატლანტიკურ ალიანსში შეტანილი უზარმაზარი წვლილით.

„ჩვენი მიზანია დასავლურ ცივილიზაციასთან და ღირებულებებთან ჩვენი კავშირის და ღრმა ფესვების დემონსტრირება პრაქტიკული მოქმედებებით, რომლებიც აათმაგებს ჩვენს სიმტკიცეს და თავდაცვისუნარიანობას მათ წინააღმდეგ, ვინც ამ ღირებულებებს არ იზიარებს. შავი ზღვის უსაფრთხოებას არსებითი მნიშვნელობა აქვს გლობალური მშვიდობისა და სტაბილურობისთვის, საქართველო კი წარმოადგენს ერთგულ პარტნიორს დასავლური ერთსულოვნების ფარგლებში. სწორედ ამ მიზეზით უნდა შეასრულონ ჩვენმა მეგობრებმა ნატოში თავიანთი დაპირება სასიცოცხლო მნიშვნელობის ამ უსაფრთხოების ორგანიზაციაში საქართველოს შესვლასთან დაკავშირებით“, – ნათქვამია საქართველოს პრემიერ-მინისტრის გიორგი გახარიას სტატიაში, რომელიც ამერიკულ გამოცემაში The Washington Times გამოქვეყნდა.

სტატიის ქართული თარგმანი საქართველოს პრემიერ-მინისტრის პრესსამსახურმა გაავრცელა.

1TV.GE

დავით ზალკალიანი: ნატოს მომავალი წევრობისთვის ყველა პრაქტიკული ინსტრუმენტი გვაქვს

ეჭვს არ იწვევს, რომ საქართველო, როგორც ყველაზე წინ წასული ასპირანტი ქვეყანა, ყველაფერს ასრულებს და ჩვენ გვაქვს ყველა პრაქტიკული ინსტრუმენტი ნატოს მომავალი წევრობისთვის.

დავით ზალკალიანის თქმით, საქართველო ნატოს წევრ პარტნიორებს მაქსიმალურად ეხმარება თავისი რაციონალური პოლიტიკითა და კონფლიქტების მოგვარების კუთხით.

„ვამბობთ, რომ საქართველო არ გამოიყენებს ძალას საკუთარი ტერიტორიული მთლიანობის დასაბრუნებლად. ეს არის იურიდიული ვალდებულება, რომელიც ჩვენ აღებული გვაქვს და ამას საჯაროდ ვაცხადებთ. მსგავსი ქმედებით, თანმიმდევრული სამშვიდობო პოლიტიკით ჩვენ მაქსიმალურად ვეხმარებით პარტნიორებს, რათა ისინი საბოლოოდ დარწმუნდნენ, რომ სამშვიდობო პროცესს ალტერნატივა არ აქვს და ეს შეუქცევადი პროცესია. ჩვენ მივდივართ რეფორმების გზით და ყოველწლიური სამოქმედო გეგმის, ნატო-საქართველოს ერთობლივი პაკეტის შესრულების კუთხით საბოლოო მიზნისკენ მივდივართ, რაც არის ნატოს წევრობა“.

აი, რეფორმაა!

საქართველოს გენერალური პროკურორის გადაწყვეტილებით, პროკურატურის სტაჟიორებს, გამომძიებლებს, პროკურორებს და საშუალო რგოლის თანამშრომლებს ხელფასი 500 ლარით გაეზარდათ.

პროკურატურის ინფორმაციით, გენერალური პროკურორის ირაკლი შოთაძის გადაწყვეტილებით, სახელმწიფო ბიუჯეტით არსებული ასიგნებების ფარგლებში, უწყების ყველა თანამშრომელს, გარდა ხელმძღვანელი პირებისა, შრომის ანაზღაურება 500 ლარით გაეზარდათ. აღნიშნული ცვლილება შეეხო პროკურატურის 514 თანამშრომელს – საშუალო და ქვედა რგოლის თანამშრომლებს, რიგით პროკურორებს, გამომძიებლებს და სტაჟირებაზე მყოფ პირებს. ცვლილება ძალაში უკვე შევიდა და, შესაბამისად, საქართველის პროკურატურის თანამშრომლები გაზრდილ ანაზღაურებას თებერვლის თვიდან მიიღებენ.

სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების განვითარებისთვის რეკომენდაციები შემუშავდება

გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის პირველი მოადგილე გიორგი ხანიშვილი აზიის სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების განვითარების ინსტიტუტის სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების განვითარების ექსპერტს ტერუნუმა ჰიროშის და იაპონიის საერთაშორისო თანამშრომლობის სააგენტოს წარმომადგენლებს შეხვდა.

გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო საქართველოში სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების განვითარების ხელშეწყობისთვის სხვადასხვა მიმართულებით მუშაობს. როგორც შეხვედრაზე გიორგი ხანიშვილმა აღნიშნა, ქვეყანაში კოოპერაციული მეურნეობების განვითარება ერთ-ერთი პრიორიტეტული მიმართულებაა და, შესაბამისად, იაპონიის მხრიდან ექსპერტული დახმარება მნიშვნელოვანია.

შეხვედრაზე მხარეებმა რეკომენდაციების შემუშავების საკითხები განიხილეს. სამინისტროს უწყების „სოფლისა და სოფლის მეურნეობის განვითარების სააგენტო“ და იაპონიის საერთაშორისო თანამშრომლობის სააგენტოს, ერთობლივი პროექტის „ბიზნესზე ორიენტირებული სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების შექმნა საქართველოში“ ფარგლებში, სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების განვითარებისათვის რეკომენდაციების შემუშავება მიმდინარეობს, რომლის პრეზენტაციაც გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროში 28 თებერვალს გაიმართება. შეხვედრას სოფლისა და სოფლის მეურნეობის განვითარების სააგენტოს დირექტორი ილია თამარაშვილი და უწყების შესაბამისი სამსახურის წარმომადგენლები ესწრებოდნენ.

ოკუპირებული ცხინვალის აფთიაქებიდან „ქართული“ წამლები ამოიღეს

ოკუპირებული ცხინვალის აფთიაქებიდან სეპარატისტულმა რეჟიმმა საქართველოს ცენტრალური ხელისუფლების კონტროლირებული ტერიტორიიდან შეტანილი წამლები ამოიღო.

საინფორმაციო სააგენტო „კომინფის“ ინფორმაციით, შემოწმებები საოკუპაციო რეჟიმის ე.წ. შინაგან საქმეთა სამინისტროს ეკონომიკურ დანაშაულთა ბრძოლის დეპარტამენტმა ჩაატარა. ოკუპირებული სამხრეთ ოსეთის ე.წ. ხელისუფლება ამბობს, რომ ცხინვალში მცხოვრები 44 წლის ქალის მიმართ, რომელიც ინდივიდუალური მეწარმეა, საქმე ადმინისტრაციულ სამართალდარღვევაზე აღიძრა. სამედიცინო პრეპარატები ცხინვალის ე.წ. საქალაქო სასამართლოში გაგზავნეს. ოკუპირებული სამხრეთ ოსეთის ე.წ. მილიციამ აფთიაქებს ქართულწარწერიანი მედიკამენტები 17 თებერვალსაც ჩამოართვა. სააგენტო „კომინფი“ წერს, რომ **„სააფთიაქო დაწესებულებების შემოწმება მთავრობის დადგენილების შესაბამისად ჩატარდა, რომელიც ქართული წარმოების მედიკამენტების რეალიზაციის ჩახშობას ისახავს მიზნად“.**

„ძლიერი მუშტი ჰქონდა ბერიას, ოღონდ როგორც დამოუკიდებელი ფიგურა, უმწეო და უსუსური აღმოჩნდა“, — ამბობს პოლიტოლოგი რამაზ სამყარელიძე და პარალელს ავლებებს ვანო მერაბიშვილთან. პოლიტოლოგის შეფასებით, მერაბიშვილისნაირი შემსრულებლები, ხშირად, გავლენის მქონენი არიან, ოღონდ ეს არ ნიშნავს, რომ ისინი პოლიტიკურ ცხოვრებაზე რამე სერიოზულ გავლენას მოახდენენ....

დღეს ჩვენი გაზეთის სტუმარი რამაზ სამყარელიძეა.

სააკაშვილმა წამოაყრანტალა, რომ მერაბიშვილი მიუღებელია მისთვის...

— ვანო მერაბიშვილი არის ის პოლიტიკური ფიგურა, რომლის არჩევანი - რომელ პოლიტიკურ პარტიას შეუერთდება, პოლიტიკურ ველზე რაიმე სერიოზულ ცვლილებებს გამოიწვევს?

— ისტორიამ აჩვენა ანალოგიური მოვლენები. ძალიან ძლიერი მუშტი ჰქონდა ბერიას, ოღონდ როგორც დამოუკიდებელი ფიგურა, უმწეო და უსუსური აღმოჩნდა. თუ პარალელს გავავლებთ, ასეთი შემსრულებლები, როგორიც ვანო მერაბიშვილი იყო, ხშირად არიან დიდი გავლენის მქონე, ოღონდ ეს არ ნიშნავს, რომ ისინი პოლიტიკური გავლენის მქონენი არიან. ძალიან ხშირად, ისინი პოლიტიკაში საკმაოდ სუსტები არიან და ეს გამოჩნდა კიდეც პირველივე დღეებში — ბევრი შეცდომა დაუშვა ბატონმა ვანო მერაბიშვილმა.

— მერაბიშვილის გვერდით დგომა თუ შემატებს პოლიტიკურ წონას იმ პარტიას, რომელზეც ის არჩევანს გააკეთებს?

— წონა აქვს და თანაც — დიდი წონა — ძალიან მძიმედ წაიღებს იმ პოლიტიკურ პარტიას ფსკერისკენ, რომელთანაც მივა. ხელისუფლების მიმართ ოპოზიციურად განწყობილმა ადამიანებმაც კი თქვეს, რომ მერაბიშვილთან არ დავჯდებითო. ე.ი. ბევრისთვის მიუღებელია მერაბიშვილი. წარმოიდგინეთ, რამდენად მიუღებელია მერაბიშვილი იმ ადამიანებისთვის, ვისი სისხლიც აქვს დაღვრილი. ამ ფონზე მერაბიშვილის შესვლა ნებისმერ პოლიტიურ პარტიაში, დაბლა დასცემს ამ პარტიის რეიტინგს. ამიტომ თქვა კახა კალაძემ: „ბევრი მერაბიშვილი „ნაციონალურ მოძრაობასო“.

— არ ფიქრობთ, რომ „ნაციონალური მოძრაობისთვის“ და „ევროპული საქართველოსთვის“ მერაბიშვილი საინტერესოა როგორც ინფორმაციის მატარებელი ადამიანი, რომელიც შეიძლება ალაპარაკდეს?

— ალაპარაკების პრობლემა ნამდვილად არის, მაგრამ მე მგონია, რომ მერაბიშვილის ალაპარაკებაზე აქამდე იზრუნებდნენ. წესით, აწი მერაბიშვილის ალაპარაკება არავის არ უნდა სჭირდებოდეს. შეიძლება მერაბიშვილი ლაპარაკობდა, რაც მათთვის უცნობია, ოღონდ ლაპარაკობდა იმ ადამიანებთან, ვინც, ალბათ, არ უნდათ იყვნენ მათი საქმეების მოწმეები. მაგრამ, ვიმეორებ, ეს უკვე მომხდარი ფაქტი თუ იქნება და აწი, რას იტყვის ციხიდან გამოსული მერაბიშვილი, ამას დიდი მნიშვნელობა აღარ მიეცემა. ამიტომ, შანსი იმისა, რომ რამე თქვას, ნაკლებია.

— ციხიდან გამოსულმა მერაბიშვილმა თქვა, რომ ეს ხელისუფლება ერთ წელიწადში დაემხობა, ამ განცხადებას გაემიჯნა მამუკა ხაზარაძე, გიგა ბოკერია და დაადასტურეს, რომ ხელისუფლება მხოლოდ არჩევნების გზით უნდა შეიცვალოს. ბოკერიას პოზიციიდან თუ გამოვალთ, შეიძლება ითქვას, რომ დასავლეთის რეკომენდაციით ხელისუფლება აპირებს, სწორედ, „ლელოს“ და „ევროპული საქართველოს“ პარლამენტში შეყვანას? შესაძლოა, ამ მოტივით უარი თქვას იგივე „ევროპულმა საქართველომ“ მერაბიშვლთან თანამშრომლობაზე?

— მერაბიშვილთან დაკავშირებით, ალბათ, მუშაობს ის ფაქტი, რომ ციხეში მყოფი ადამიანი ცოდვაა. „ქართული ოცნების“ წარმომადგენლებმაც კი თქვეს ასეთი რაღაცა. გარკვეული შეცოდების მექანიზმი არის ამუშავებული და ამიტომ, მისთვის უარის თქმა, ცოტა ძნელი იქნება ნებისმიერი პარტიისთვის. მაგრამ რაც შეეხება კარის გაღებას, და თუ, მას კარს გაუღებენ, რამდენად გულწრფელი იქნებიან, რამდენად იქნებიან იმაზე ორიენტირებული, რომ რაც შეიძლება ფართოდ გაუღონ კარი, ძალაუფლება მისცენ და სახედ აქციონ, აქ ჩნდება კითხვები და ლოგიკური კითხვები. თუკი ძალაუფლებას მისცემენ მერაბიშვილს, მაშინ იგი იქცევა ამ პარტიის სახედ, მაგრამ ამ სახის დანახვა არ უნდა ქართველ საზოგადოებას. რომელია იმ ჭკუის, რომ მერაბიშვილის სახედ ყოფნას გადააყოლოს თავისი პოლიტიკური პერსპექტივა?! ამიტომ, მიუხედავად იმისა, რომ დღეს არ იციან, როგორ მოიქცნენ, არ მგონია, ეჩქარებოდნენ მერაბიშვილის გამოჩენას.

— ვიცით, რომ სააკაშვილი დაუპირისპირდა პატიმრობაში მყოფ მერაბიშვილს და ღიად განაცხადა: „რომ არა მერაბიშვილის შეცდომები, ივანიშვილი ხელისუფლებაში ვერ მოვიდოდა“. თავად მერაბიშვილი ამბობს, რომ სააკაშვილი მისი მეგობარია და კრიტიკისთვის არ გაწირა. სააკაშვილის გეგმაში, რომ არის რევოლუციური სცენარი, ეს ფაქტია, საჭიროების შემთხვევაში, შესაძლებელია, სააკაშვილი და მერაბიშვილი ერთად ვიხილოთ?

— თქვენ გაიხსენეთ და სავსებით სწორად, რომ სააკაშვილმა მერაბიშვილზე გადატეხა ჯოხი. არ მგონია, რომ ეს შემთხვევითობა იყოს, მიუხედავად იმისა, თუ რას იტყვის დღეს სააკაშვილი. მაგრამ, მეორე მხრივ, სააკაშვილმა, რომელმაც იცოდა, რომ მერაბიშვილს რამდენიმე დღეში გამოუშვებდნენ, ამ განცხადებით თავისიანებს მისცა მითითება, რომ მერაბიშვილი მიუღებელია მისთვის. სააკაშვილი არის ისეთი ფიგურა, რომელიც პრაგმატიზმით ხელმძღვანელობს და არა სენტიმენტალიზმით.

თუკი სააკაშვილს რეალური მიზნები აქვს, რომ ხელისუფლებას მიუახლოვდეს მაინც, „ნაციონალურმა მოძრაობამ“ მერაბიშვილზე უარი უნდა თქვას. აი, ასეთი არის პირობა. მერაბიშვილის გამოჩენით ყველა აღფრთოვანებული არ არის. თუ დავაკვირდებით, სააკაშვილის ნაბიჯებიდანაც გამომდინარეობს, რომ ის დიდად არ იჩქარებს მერაბიშვილის მიმართ რეალური მხარდაჭერის გამოხატვას.

— მერაბიშვილი, რომელიც შეცდომებს არ აღიარებს, უფრო საშიში ფიგურა გახდა ხელისუფლებისთვის?

— შეცდომების აღიარება მართლაც ვერ დავინახეთ... რეალურად, რამდენად საშიშია, ეს კიდევ ცალკე საუბრის თემაა, მაგრამ — უფრო არაადეკვატურია. ერთია რას ამბობს და რეალურად მასში რა მოტივები ტრიალებს, ეს კიდევ სხვა თემაა. მაგრამ ის, რომ მონანიების მსგავსი, რამაც სააკაშვილის მხრიდანაც გაიჟღერა (აღიარება იყო, როდესაც თქვა, რომ შეცდომები მერაბიშვილის გამო მოხდაო), ასეთი რამ მერაბიშვილს არ უთქვამს. სიმართლე გითხრათ, რომც თქვას, რომ ვაღიარებო, ჩემთვის დამაჯერებლობა არ ექნება, ისევე როგორც სააკაშვილის მონანიებას არა აქვს დამაჯერებლობა.

ესაუბრა
თამთა ძარჩავა

მიხეილ ჩხენკელი: საქართველოს ძალიან დიდი წვლილი აქვს შეტანილი ევროპული კულტურისა და ფასეულობების შექმნაში

საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრმა მიხეილ ჩხენკელმა და თბილისის მერმა კახი კალაძემ საქართველოს ადგილობრივ თვითმმართველობათა ეროვნული ასოციაციის პრეზიდენტის რანგში ხელი მოაწერეს ევროპის საბჭოს კულტურული მარშრუტების პროგრამის თანამშრომლობის მემორანდუმს.

„ევროპის საბჭოს კულტურული მარშრუტების პროგრამის თანამშრომლობის მემორანდუმი ჩვენს ქვეყანაში ტურიზმის განვითარების თვალსაზრისით მძლავრი სტიმული იქნება. ჩვენი ქვეყნის სტუმრები შეძლებენ, აღმოაჩინონ საქართველო, როგორც უმდიდრესი კულტურისა და დიდებული ისტორიის ქვეყანა. როგორც მოგეხსენებათ, ჩვენი ისტორია, კულტურული მემკვიდრეობა, კულტურა — ჩვენი მთავარი საგანძურია და ძალიან გვიხარია, რომ ჩვენი სტუმრები შეძლებენ, თვალნათლივ დაინახონ, რომ საქართველო არა მხოლოდ ევროპის ნაწილია, არამედ ძალიან დიდი წვლილი აქვს შეტანილი ევროპული კულტურისა და ევროპული ფასეულობების შექმნაში.

კულტურული მარშრუტები ევროსაბჭოს ერთ-ერთი მთავარი პრიორიტეტული პროგრამაა და მასში გაწევრიანებულია 47 ქვეყანა. ამ პროგრამაში საქართველოს აქტიური ჩართულობა უაღრესად მნიშვნელოვანია და ჭეშმარიტად წინგადადგმული ნაბიჯია ევროპულ ოჯახში დაბრუნების გზაზე. ხაზი მინდა გავუსვა იმ გარემოებასაც, რომ პროგრამას საგანმანათლებლო მნიშვნელობა აქვს და სამინისტრო შეიმუშავებს სპეციალურ პროექტებს სკოლის მოსწავლეებისა და უნივერსიტეტების სტუდენტებისთვის. ეს, რასაკვირველია, მათ კიდევ უფრო გაუღრმავებს ჩვენი ქვეყნის ისტორიის ცოდნას და თითოეულ მათგანს სიამაყით აღავსებს. გარდა ამისა, პროგრამა ძალიან დიდ როლს შეასრულებს ადგილობრივი თვითმმართველობებისა და ადგილობრივი ბიზნესის განვითარების თვალსაზრისით“, — განაცხადა მიხეილ ჩხენკელმა მემორანდუმის ხელმოწერის ცერემონიის დროს.

კულტურული მარშრუტების ევროპის საბჭოს ერთ-ერთი პრიორიტეტული მიმართულებაა, რომელსაც საფუძველი 1987 წელს ჩაეყარა. დღეისათვის ევროპის საბჭოს მიერ სერტიფიცირებულია 38 მარშრუტი. თავად პროგრამაში კი გაერთიანებულია 47 სახელმწიფო.

კულტურული მარშრუტების პროგრამა მასობრივი პროექტების განხორციელების გზით ხელს უწყობს მდგრად განვითარებას, აძლიერებს მემკვიდრეობასთან წვდომის დივერსიფიცირებულ ფორმებს. მარშრუტების ქსელში ჩართულია 1600-ზე მეტი ინსტიტუცია, რაც ეროვნულ, რეგიონულ და ადგილობრივ მმართველობებს, ასოციაციებსა თუ სხვადასხვა სოციალურ-ეკონომიკურ სუბიექტებს შორის სინერგიის საშუალებას იძლევა.

კულტურული მარშრუტების პროგრამას საქართველოში ეროვნულ დონეზე კოორდინაციას უწევს საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო, რომელიც მისი ხელშეწყობისათვის აქტიურ კამპანიას ახორციელებს. აღნიშნული მემორანდუმიც კულტურული მარშრუტების ქსელის გაფართოებას ემსახურება.



ვინ აფინანსებდა არჩევნებში ზვიად გამსახურდიას?!

კითხვა თავისთავად რიტორიკულია. დარწმუნებული ვარ, ზუსტი პასუხი არავის ეძნება, რადგან მაშინ არჩევნების დაფინანსების თემა მაინცდამაინც აქტუალური არ იყო.

არადა, 1990 წლის შემოდგომაზე საქართველოში ჩატარდა პირველი მრავალპარტიული არჩევნები, რომელმაც კომუნისტური ხელისუფლება ეროვნული ხელისუფლებით შეცვალა და ახალი ფურცელი ჩაწერა ქვეყნის ისტორიაში.

დღევანდელი გადასახედიდან, თამამად შეიძლება ითქვას, რომ იმავე კომუნისტებმა „ეროვნულებს“ ხელისუფლება ხონჩით მიართვეს და ამით არა მარტო ხალხის დაკვეთა შეასრულეს!!!

არც ის არის საკამათო, კომუნისტებს რომ მოენდომებინათ, „მრგვალი მაგიდა – თავისუფალი საქართველო“, რომელსაც ზვიად გამსახურდია ედგა სათავეში, ოპოზიციურ ფლანგსაც დასჯერდებოდა. სხვა საკითხია, რატომ მივიღეთ ისეთი შედეგი, როგორიც მივიღეთ!

ერთი რამ ფაქტია: დღევანდელისგან განსხვავებით, სიახლის მოლოდინში ხალხი ხალისით მიდიოდა არჩევნებზე და მისი მოსყიდვის ელემენტარული აუცილებლობაც არ არსებობდა. აქედან გამომდინარე, ვერავინ იტყვის, რომ ზვიად გამსახურდიამ ხელისუფლებაში მოსვლა ამომრჩეველთა მოსყიდვით შეძლო!

ახლა იმის მტკიცებას არ შევუდგები, რატომ დაამხეს გამსახურდიას ხელისუფლება და რატომ გახდა იგი ხანმოკლე, მაგრამ დაბეჯითებით იმის თქმა ნამდვილად შემიძლია, რომ პირველ მრავალპარტიულ არჩევნებში ფულს გადამწყვეტი მნიშვნელობა არ ჰქონია.

მერე და მერე, სოკოებივით მომრავლებული პარტიების ფონზე საარჩევნო ბატალიებში ადმინისტრაციულ რესურსებთან ერთად გადამწყვეტ როლს თამაშობს მისი უდიდებულესობა – ფული, რომელიც არა მარტო სააარჩევნო კამპანიის წარმართვას (პარტიის რეკლამირება სხვადასხვა ფორმით), არამედ ამომრჩეველთა პირდაპირი გზით მოსყიდვას ხმარდება. დიახ, ამომრჩეველი პარტიას ირჩევს არა იმის მიხედვით, თუ როგორი საარჩევნო პროგრამა და სტრატეგია გააჩნია მას და რამდენად პროფესიონალი და კეთილსინდისიერი ადამიანებითაა დაკომპლექტებული პარტიის თუნდაც ზედა ეშელონები, არამედ, იმისდა მიხედვით, ვინ უფრო „გულუხვი“ იქნება ამომრჩევლის მიმართ წინასაარჩევნო მარათონში და როგორი ლოზუნგებით ცდილობს იგი ამომრჩეველთა ზომბირებას.

მიუხედავად იმისა, რომ წინასაარჩევნო დაპირებების მეათედიც არც ერთ მმართველ პარტიას არ შეუსრულებია, ისინი ორი ან სამი ვადით მაინც რჩებოდნენ (რჩებიან) ხელისუფლებაში.

დამოუკიდებლობის დეკლარირებიდან მთელი 30 წლის განმავლობაში (ჩატარდა 8 საპარლამენტო არჩევნები) არც ერთ ხელისუფლებას არ აუღია პასუხისმგებლობა შეუსრულებელ დაპირებებზე და არც ამომრჩეველს ჰქონია თანმიმდევრული პრეტენზია რომელიმე ხელისუფლების მიმართ, თუ არ ჩავთვლით 2012 წლის არჩევნებს, როცა ქართველ ამომრჩეველთა უმრავლესობამ უარი უთხრა სააკაშვილის სულისმხუთავ რეჟიმს.

მიუხედავად იმისა, რომ 2012 წლის არჩევნებში უმთავრესი როლი არა ივანიშვილის ფულმა (არანაკლები ფული ჰქონდა „ნაციონალებსაც“), არამედ ხალხის მტკიცე ნებამ ითამაშა, მან (ამომრჩეველმა) არ აიძულა ხელისუფლება გაესამართლებინა სისხლიანი რეჟიმი და დაემკვიდრებინა სამართლიანობა ქვეყანაში.

მომავალ (2016 წლის) არჩევნებზე მმართველმა ხელისუფლებამ კარგად გამოიყენა წინასწარგათვლილი კოზირი – „მე თუ მხარს არ დამიჭერთ, ისევ „ნაციონალები დაბრუნდებიან ხელისუფლებაში“ და აიძულა ხელისუფლებით უკმაყოფილო ხალხიც კი, მხარი დაეჭირა „ქართული ოცნებისთვის“. იგივე განმეორდა საპრეზიდენტო არჩევნებზეც.

რას მოვაყოლე ეს?

დღეს სოციალურ ქსელში გამოქვეყნდა პირველი ქართული ინტერნეტპარტიის – „სხვა საქართველოსთვის“ საინიციატივო ჯგუფის წევრის, ბატონი ბესიკ ლაგვილავას სტატუსი, რომელიც საარჩევნო ფინანსურ რესურსს ეხებოდა.

ყურადღებით გავეცანი კომენტარებს.მიუხედავად იმისა, რომ მოსწონთ ახალი პოლიტიკური ძალის შემოსვლა ქართულ პოლიტიკურ სივრცეში, ყველაზე მეტად ერთი და იგივე კითხვა ისმება: გაქვთ თუ არა ფული?!

ამ საჩოთირო კითხვას თითქმის ამომწურავი პასუხი გასცა თვით სტატუსის ავტორმა, ბატონმა ბესიკ ლაგვილავამ. ვეცდები, ორიოდე სიტყვით მეც გამოვთქვა საკუთარი მოსაზრება:

ფული არჩევნებში საჭიროა, ოღონდ, არა ხალხის მოსასყიდად, არამედ ელემენტარული საარჩევნო ბატალიების საწარმოებლად – შენი (პოლიტიკური პარტიის) ხმა უნდა მივიდეს ამომრჩევლებამდე.

ის, რომ საინიციატივო ჯგუფმა საკუთარ პარტიას ინტერნეტპარტია დაარქვა, ნიშნავს, რომ მას ორიენტაცია აღებული აქვს არა ფულის დომინირებაზე საარჩევნო პროცესში (რომც მოინდომო, ფულით ვერც დღევანდელ და ვერც ყოფილ ხელისუფლებას აჯობებ), არამედ ინტერნეტ და სხვა თანამედროვე ტექნოლოგიების მაქსიმალურად გამოყენებაზე. თუმცა, ეს არ ნიშნავს, რომ საარჩევნო პროცესში ფული საჭირო არ იქნება!

ხალხს უყვარს სიახლე, მითუმეტეს, უკვე ყელში ამოუვიდა ყალბი დაპირებები და საზოგადოების (სახელმწიფოს) ინტერესების სრული იგნორირება, მაგრამ აუცილებლად უნდა გააცნობიეროს, რომ არჩევნებში არსებითი გარდატეხა მხოლოდ მაშინ შეიძლება მოხდეს, როცა იგი მხარს დაუჭერს არა ფულს და ფარატინა ქაღალდზე ჩაწიკწიკებულ დაპირებებს, არამედ პარტიის მიერ წარმოდგენილ სახელმწიფოს განვითარების რეალურ პროგრამასა და სტრატეგიას. ასევე გააცნობიერებს იმასაც, აქვს თუ არა ამა თუ იმ პარტიას მორალური უფლება, ესაუბროს საზოგადოებას და ვინ, რა პოლიტიკური რენომეს მქონე ადამიანები დგანან ამ პოლიტიკური ძალის უკან!

თუ ეს მოხდება, ხალხის ნება ნებისმიერ ფულს დაამარცხებს! სამშობლოს მომავალი მის ხელშია!

რაც შეეხება საქართველოს პირველ ინტერნეტპარტიას – „სხვა საქართველოსთვის“, ვნახოთ, რა განსხვავებულ პოლიტიკურ-ეკონომიკურ ხედვას შემოგვთავაზებს.

აქვე მახსენდება ბიძინა ივანიშვილის სიტყვები, რომელიც მან 2012 წლის არჩევნების შედეგების გამოცხადების შემდეგ განაცხადა: „მე მაქსიმალურად გამოვიყენე ხალხი“.

დიახ, ივანიშვილმა ნამდვილად მაქსიმალურად გამოიყენა ხალხი, რომ ხელისუფლებაში მოსულიყო, მაგრამ ხალხმა არ გამოიყენა საკუთარი უფლება – მოეთხოვა საარჩევნო დაპირების ბოლომდე შესრულება, თუნდაც სამართლიანობის დამკვიდრების ნაწილში!

ზაურ ნაჭყებია

კავკასიონთან შედარებით ალპები ბავშვის სათამაშოს ჰგავს!

ტურიზმის ეროვნულ ადმინისტრაციასთან თანამშრომლობით CNN-მა საქართველოს სამთო კურორტების შესახებ სტატია მოამზადა.

„საქართველო მოთხილამურეების სამოთხეა“ წერს CNN Travel-ზე ბენჯამინ კემპერი. ჟურნალისტი საქართველოს სხვადასხვა მთის კურორტს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის პრეს-ტურის ფარგლებში ეწვია. ბენჯამინ კემპერი სტატიაში დეტალურად აღწერს საქართველოს სამთო კურორტებს და მათ შესაძლებლობებზე საუბრობს.

„საქართველოს შესახებ პირველი, რაც მოგზაურებს თავში მოსდით ეს უძველესი ღვინის დამზადების ტრადიცია, ეპიკური ხაჭაპური და ტრენდული ღამის კლუბებია, მაგრამ ამ ქვეყნის ყველაზე დიდი საგანძური თოვლით დაფარული მთებია.

1200 კილომეტრზე გადაჭიმული კავკასიონის მთები საქართველოს ტერიტორიის 60%-ს მოიცავს, ალპები კავკასიონთან შედარებით ბავშვის სათამაშოს ჰგავს.“

სტატიის ავტორის თქმით, საქართველოში ჩამოსვლა საკმაოდ იაფია. ავიაკომპანია Raynair-ის ბილეთები ევროპული ქალაქებიდან თბილისისა და ქუთაისის მიმართულებით 20 დოლარიდან იწყება, შედეგად საქართველო ევროპული სამოგზაურო მიმართულებების სიას დაემატა.

„საქართველოს ყველაზე პოპულარული ზამთრის კურორტი გუდაური თბილისიდან 90 წუთის სავალზეა. კურორტი ზღვის დონიდან 2196 მეტრზე მდებარეობს. აქ ავტომობილების სადგომები უფრო მაღალზეა, ვიდრე ალპების ფერდობთა უმრავლესობა, გარშემო თუ მიმოიხედავთ, შეამჩნევთ, რომ ამ სიმაღლეზე უკვე ხეები აღარ იზრდება.

ახალი საბაგირო გუდაურს კობთან აკავშირებს და ჯვრის უღელტეხილს კვეთს. ეს საბაგირო სამთო კურორტსა და სტეფანწმინდას შორის კომუნიკაციას ამარტივებს. სტეფანწმინდა ტურისტების სიხშირით გამორჩეული დაბაა, რომელიც მყინვარწვერთან მდებარეობს და მთიდან გერგეტის სამება გადმოჰყურებს“, – წერს ჟურნალისტი.

ბენჯამინ კემპერი დეტალურად აღწერს ბაკურიანს და სვანეთის სამთო კურორტებს თეთნულდს და ჰაწვალს. **„თუ გსურთ, თავგადასავლებს გემო გაუსინჯოთ, სვანეთში უნდა წახვიდეთ, რომელიც შუასაუკუნოვანი კოშკებით და მთის ტრადიციების გავლენით გამოირჩევა.“**

ვისწავლოთ ინტერნეტის უსაფრთხოდ გამოყენება!

უსაფრთხო ინტერნეტის დღესთან დაკავშირებით, კომუნიკაციების კომისიის მედიაწიგნიერების დეპარტამენტის წარმომადგენლებმა ინტერნეტის უსაფრთხოდ გამოყენების შესახებ სამ საჯარო სკოლაში ინტერაქტიული ტიპის ტრენინგი ჩაატარეს, რომელსაც მე-3, მე-4 და მე-5 კლასის მოსწავლეები ესწრებოდნენ.

ტრენინგის მიზანს მოზარდების ონლაინ სივრცეში მავნე ზეგავლენისგან დაცვა და ინტერნეტში უსაფრთხო ნავიგაცია წარმოადგენს. ტრენინგზე მოზარდებს მედიაწიგნიერების დეპარტამენტის წარმომადგენლებმა ონლაინ აპლიკაცია და სამაგიდო თამაში „Happy Onlife-ის“ გააცნეს. „Happy Onlife“-ის აპლიკაციით ბავშვებს, მშობლებსა და მასწავლებლებს შეუძლიათ, გაეცნონ ციფრული მედიის უსაფრთხოდ გამოყენების წესებს. აპლიკაციის მიზანია, ბავშვებმა და მოზარდებმა თამაშით ისწავლონ ონლაინ კონტენტის კრიტიკული შეფასება და ანალიზი. აპლიკაცია „Happy Onlife“ ისეთ მნიშვნელოვან საკითხებზე ამახვილებს ყურადღებას, როგორებიცაა:

- **კიბერბულინგი;**
- **ინფორმაციის წყაროს კრიტიკულად შეფასება;**
- **მშობელთან, მასწავლებელთან, უფროსებთან კომუნიკაცია;**
- **პირადი მონაცემების ონლაინ სივრცეში დაცვა.**

მედიაწიგნიერების განვითარების ერთ-ერთი მთავარი მიზანი არასრულწლოვანთა მავნე ზეგავლენისგან დაცვა და მათი ცნობიერების ამაღლებაა.

...წითლად დალაქავებული 25 თებერვლის გაზეთები

პატრიარქი ლეონიდე

(მეორე გვერდიდან)

25 თებერვალს გამოსული გაზეთებიდან ჩანს, რომ საქართველოს შეიარაღებული ძალები წარმატებით იგერიებენ მტერს და ემზადებიან ხანგრძლივი წინააღმდეგობისათვის, რისთვისაც ქვეყნდება ცნობები მობილიზაციის შესახებ. მაგალითად, გაზეთი „საქართველო“ აქვეყნებს გენერალური შტაბის სამობილიზაციო განყოფილების განმარტებას, რომ მობილიზაციას ექვემდებარებიან რესპუბლიკის მოქალაქენი 19-დან 40 წლამდე, გარდა რუსებისა.

გაზეთები ატყობინებენ მოსახლეობას, რომ სასწავლო სროლები ახალგაწვეული ჯარისკაცებისათვის გაგრძელდება 25 და 26 თებერვალს.

გაზეთების პატრიოტულ განწყობაზე ნეგატიურად ვერ მოქმედებს მტრის საავიაციო იერიშებიც კი.

„რაც უნახავთ, ვერ ნახავენ“ — ამ სათაურით გამოაქვეყნა გაზეთმა „ერთობამ“ ცნობა მტრის „ჰაეროპლანის“ მიერ თბილისში ყუმბარების ჩამოყრის შესახებ.

„ხმელეთზე ბრძოლით ვერაფერს გახდნენ, ვერ გამოიწვიეს აჯანყება. დამარცხებულები მაღლა აფრინდნენ და ზემოდან მშვიდობიან ხალხს დაუშინეს. ეს არის სასოწარკვეთილებით გამოწვეული ნაბიჯი — ამით უნდათ გვითხრან, დაგვნებდით, ბრძოლას თავი დაანებეთ, მაინც ვერ გაგვიძლებთ დიდხანსო, მაგრამ თბილისი არ შეკრთა. არ ეშინია მსხვერპლის არც ფრონტზე და არც მშვიდობიან ქუჩებში. საქართველოს დედაქალაქი არ კარგავს იმ სიდინჯეს, რომელსაც მოითხოვს მისგან დღევანდელი დღე. დამოუკიდებლობის დაცვა საქართველოსთვის სიკვდილ-სიცოცხლის საკითხია. მისი ნებით ბოლშევიკები ვერ შემოვლენ აქ. ქართველ ხალხს აქვს ისეთი სიმაგრე, რომელსაც ისინი ვერ მოერევიან ვერც ზარბაზნებით და ვერც ჰაეროპლანებით. ეს სიმაგრე მისი მკერდი, მისი სულიერი განწყობილებაა“, — წერდა „ერთობა“.

„თბილისის პოზიციებზე დამარცხებულ მტრის მდევარმა, ჩვენი ჯარის მოწინავე რაზმმა, გუშინ საღამოს აიღო სოფელი კუმისი და წალასკური. კუმისთან ღამის ბრძოლაში ჩვენ ხელთ ვიგდეთ 8 ტყვიისმფრქველი, 3 ოფიცერი და 53 წითელარმიელი“, — ამგვარი შინაარსის ცნობა გაავრცელა გაზეთებით საქართველოს შეიარაღებული ძალების გენერალურმა შტაბმა.

„არასოდეს ქართული ეროვნული სულის დაჭიმვა არ ყოფილა ისე მტკიცე, როგორც ამ დღეებში. ერმა იგრძნო უდიდესი საფრთხე და სტიქიურად წინა დაუდგა“, — წერს გაზეთი „საქართველო“.

შთამბეჭდავია კათოლიკოს-პატრიარქ ლეონიდეს სიტყვა (თქმული 20 თებერვალს თბილისის მცხოვრებლებისადმი სამხედრო ტაძრის ეზოში), რომლის ტექსტი 25 თებერვალს გაზეთმა „საქართველომ“ გამოაქვეყნა. ცნობილია, რომ 19 თებერვალს თბილისის დამცველებმა „წითელი არმიის“ მასშტაბური შეტევა მოიგერიეს. ფრაგმენტი პატრიარქის სიტყვიდან:

„თითეულს აქ მდგომთაგანს ნათლად და ცოცხლად გვეხატება თვალწინ ის ბნელი ჯოჯოხეთი და ყოველ ზომას აღმატებული უბედურობა, რომელიც თავს დასტრიალებდა ჩვენს დედაქალაქს და მასთან ერთად ჩვენს სამშობლოს. მყრალი მტერი გვექადოდა აოხრებას, განადგურებას, გაუპატიურებას და სამარცხვინო უღლის დადგმას. ...მომენტი მოითხოვს, რომ მოხდეს ყოველი ძალების მობილიზაცია. მთავრობა მეთაურობას გვიწევს თავდაცვის საკითხებში და ჩვენც ყველანი მოვალენი ვართ, მჭიდროდ გავერთიანდეთ მის გარშემო, დავიწყოთ პარტიული განსხვავება, ყოველგვარი განხეთქილება, უსიამოვნება, თუ გნებავთ, ცხადი უსამართლობაც. ჯერ მტრის დამარცხება და ჩვენი დამოუკიდებლობის განმტკიცება, მერე შინაური საქმეების მოგვარება.

ზეციურო ჩვენო მამაო, მუდმივი ძლევა გამარჯვების ბრწყინვალე შარავანდედს ნუ მოაკლებ ქართველ ჯარს! იესო ტკბილო, აღაყვავე, გააძლიერე და განამტკიცე ჩვენი ნორჩი დემოკრატიული რესპუბლიკა!“

* * *

25 თებერვლის პრესა დიდ ადგილს უთმობს ბოლშევიკების მხილებას. გაზეთი „ერთობა“ სტატიაში „მეტი სიმტკიცით ზურგში“ ბოლშევიკების ძირგამომთხრელ საქმიანობაზე წერს:

„ბალშევიკები, როგორც ვიცით, უფრო მეტ ყურადღებას აქცევენ შიგნით არევ-დარევის გამოწვევას, ერთნაირი სულიერი განწყობილების შექმნას, ვიდრე გამაგრებული პოზიციების სამხედრო ძალებით აღებას. ამისთვის ისინი არ ერიდებიან არავითარ საშუალებას, ამისთვის ისინი ფართოდ იყენებენ იეზუიტურ დევიზს — მიზანი ამართლებს საშუალებასო. მათ ჰყავთ ყველგან საჯაშუშოთ აუარებელი მოსყიდული ნაძირალა — აგენტები. ამისათვის ხარჯავენ უანგარიშო ფულს, და, უნდა ვთქვათ, რომ ამით ისინი არაერთხელ გასულან ფონს“.

გენერალი გიორგი კვინიტაძე

„საქართველოს რესპუბლიკა“ აქვეყნებს ვრცელ სტატიას „ძირს ბოლშევიკური იმპერიალიზმი“, რომელშიც ავტორი იმას ამტკიცებს, რომ რუსეთი ყველა სხვა დამპყრობელზე სასტიკი და ვერაგი დამპყრობელია.

„ზოგმა (დამპყრობელმა) ქუდი დაგვიტოვა თავისი, ზოგმა ტანსაცმელი, ზოგმა ცბიერება, ზოგმა თვალთმაქცობა, ზოგმა უზნეობა, ზოგმა ენა შეგვირყვნა და ზოგმა რჯული, მაგრამ იმდენი ზარალი, ზნეობრივ-გონებრივი ზარალი, არავის არ მოუყენებია, როგორიც მოგვაყენა რუსეთმა. სხვა მტერი რომ შემოვიდოდა ხოლმე საქართველოში, მიანგრ-მოანგრევდა, ააწიოკებდა მას და კვლავ გარბოდა. საქართველო რჩებოდა ისევ თვითარსად, თვითმმართველად, თავის თავის გამგებლად და ავად თუ კარგად თვითვე უვლიდა თავის შინაურსა და გარეშე საქმეებს. რუსები კი, მოვიდნენ თუ არა საქართველოში, მაშინვე სწვდნენ ქართველ ერს სულის სიღრმეში და მოინდომეს მისი გადაგვარება, მისი თავისებურობის მოსპობა. მათ თანდათანობით მოსპეს ჩვენი ეროვნული სკოლა, სამართალი, შემოიტანეს თავისი კანონები, სატუსაღოები, სკოლები, ყაზარმები და მონღოლურ-სლავური ვერაგობით იქამდე გაგვიხადეს საქმე, რომ დღესაც კი — რუსეთის დანგრევის შემდეგაც კი არამც თუ ძველი თაობა, არამედ ახალი თაობაც კი ჯერაც გონს ვერ მოსულა და ისევ რუსულად აზროვნებს, მღერის, ჟღმურტულებს. მარტო ბრმა და ყრუ ან ჯიუტი და მოღალატე ქართველი — მახარაძე-ორჯონიკიძის ტიპისა, თუ ვერ დაინახავს იმ უფსკრულს, რომელსაც უმზადებს ქართველ ერს დღევანდელი რუსეთი“, — ვკითხულობთ „საქართველოს რესპუბლიკაში“.

25 თებერვლის გაზეთები ასევე დიდ ადგილს უთმობენ საქართველოში მიმდინარე საბრძოლო მოქმედებებზე საერთაშორისო თანამეგობრობის რეაქციას. „ერთობა“ და „საქართველოს რესპუბლიკა“ აქვეყნებენ საქართველოს დამფუძნებელი კრების თავმჯდომარის მოადგილისა და ერთა ლიგის საქართველოს საზოგადოების თავმჯდომარის ალექსანდრე ლომთათიძის მიმართვას ერთა ლიგის თავმჯდომარის ლეონ ბურჟუას სახელზე:

„საბჭოთა რუსეთი ომის გამოუცხადებლად ვერაგულად დაეესხა თავს საქართველოს რესპუბლიკას ღამით, ამოხოცა მძინარე ჯარისკაცები და ოფიცრები და ყოველი მხრიდან შემოგვიტია. ვერაგი მტერი ამას არ სჯერდება. ჰაეროპლანებიდან ყუმბარებს ესვრის თფილისს. მივაქცევთ რა მთელი განათლებული კაცობრიობის ყურადღებას რუსეთის საბჭოთა მთავრობის ასეთ ველურობას, გამოვსთქვამთ ჩვენს ღრმა აღშფოთებას და ვაცხადებთ პროტესტს, რათა ევროპის ხალხებმა ხმა ამოიღონ საქართველოს დასაცველად ველურთა ურთიერთობისაგან“.

„დროებაში“ ნახავთ სტატიას „მარტო არ ვართ“, რომელშიც პირველი რესპუბლიკის გამოჩენილი მოღვაწე სეით დევდარიანი აღნიშნავს, რომ დასავლეთის ქვეყნების მხარდაჭერა დამოკიდებულია საქართველოს წინააღმდეგობის უნარზე:

„ჩვენთან არის მსოფლიო დემოკრატია. ჩვენი მუშათა კლასი, რომელმაც მთელი საქართველოს ჯარი მოიკრიბა თავის დროშის ქვეშ, გზავნის ცნობებს შექმნილი მდგომარეობის შესახებ სხვა და სხვა ქალაქებში. ევროპიდან უკვე მოისმის თანაგრძნობის ხმა. ეს თანაგრძნობა გადავა სიტყვიდან საქმეზე. გადავა, როცა დარწმუნდებიან იქ, რომ ჩვენი თავდაცვის ენერგია არ დასუსტდება, რაც უნდა დიდხანს გაგრძელდეს ომი“.

25 თებერვლის ქართული პრესა დიდად იმედოვნებდა, რომ საქართველოს თავდაცვის ენერგია არ დასუსტდებოდა და ამის იმედს, პუბლიკაციების მიხედვით, ქართველ ხალხს უსახავდა მთავარსარდლად გენერალ გიორგი კვინიტაძის დანიშვნა. აი, რას წერდა გაზეთი „ერთობა“ გენერლის დამსახურებაზე საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის პერიოდში მიმდინარე საომარი მოქმედებების დროს და მის როლზე თბილისის დაცვის საქმეში:

„სახელოვნი სამხედრო მოღვაწის შვილი, უმაღლეს სამხედრო აკადემიაში სწავლა-შემთავრებული, სამეომრო საქმეში გამობრძმედილი, დიდი სტრატეგი, გამჭრიახი მხედარი, პატრიოტი. ძლიერი ნებისყოფის ადამიანი, — აი, გენერალი კვინიტაძე. **იშვიათია სამხედრო პირი, რომლისაც ეგოდენი რწმენა ჰქონდეთ, რაოდენიც მისი. „როცა გენ. კვინიტაძე მაგზავნის ამა თუ იმ სიმაგრის ასაღებად, სავსე რწმენით მივალ და ღრმად მწამს, რომ უეჭველად გავიმარჯვებთ!“** — ამბობს თითოეული სარდალი. **„კვინიტაძემ რომ მიბრძანოს, ცეცხლში გადავვარდები და მწამს უნაყოფოდ არ დავიწვები“,** — ამბობს ჯარისკაცი. და დღეს, როდესაც გენ. კვინიტაძე პოზიციებზე გამოჩნდა, როდესაც ლაშქარმა დაინახა, რომ ჩვენი ბედი და ბედი ქვეყნისა კვინიტაძეს ჩაბარდაო, სულით დაცემული, გალომგულდა და მტერს შეუტია: იუნკერი, ჯარისკაცი, გვარდიელი — ერთი მეორეს ეცილება, არა მე გამოვიჩინო გმირობა და ვაჟკაცობა, არა მე სამეზობლოს სადიდებლადო. ისტორია ვერ დაივიწყებს თბილისის მიდამოებში 5 დღეღამის გახურებულ ბრძოლასა და ამ ბრძოლის ერთ ბრწყინვალე პიროვნებათაგანს, გენ. კვინიტაძეს. ლაშქარი მოითხოვს — თუ ჩვენი გამარჯვება გინდათ, ნიადაგ კვინიტაძე უნდა გვიძღოდეს წინა და ჩვენც გამარჯვებით წინ ვივლითო“.

ალექსანდრე ლომთათიძე

თუმცა, ბედის ირონიით, სწორედ გიორგი კვინიტაძემ გასცა თბილისის დატოვების ბრძანება იმის შიშით, რომ თბილისი და საქართველოს შეიარაღებული ძალები ალყაში არ მოქცეულიყვნენ. ისტორიკოს მალხაზ მაცაბერიძის თქმით, გენერალი კვინიტაძე იმედოვნებდა, რომ მოახდენდა საქართველოს ჯარის მობილიზებას დასავლეთის მიმართულებით და შეაჩერებდა ბოლშევიკებს გორის პოზიციებზე, საიდანაც შემდეგ გაათავისუფლებდა თბილისს.

„ეს იყო სამხედრო-სტრატეგიული გადაწყვეტილება, მაგრამ პოლიტიკური თვალსაზრისით ეს გადაწყვეტილება არასწორი აღმოჩნდა იმიტომ, რომ სანამ თბილისი იბრძოდა, თავდადებით იბრძოდა მთელი ქართველი ხალხიც. თბილისის დატოვება მოსახლეობის დიდმა ნაწილმა აღიქვა დამარცხებად. ამას დაემატა ბოლშევიკების პროპაგანდა, რომ საქართველოს დამოუკიდებლობას არავინ ეხება, უბრალოდ ბრძოლა მიმდინარეობს ბოლშევიკებსა და მენშევიკებს შორის“, — უთხრა რადიო თავისუფლებას მალხაზ მაცაბერიძემ, ავტორმა წიგნისა „სხვა 25 თებერვალი“, რომელშიც 1921 წლის 25 თებერვალს გამოსული გაზეთების შინაარსია გაანალიზებული.

მალხაზ მაცაბერიძის თქმით, 25 თებერვლის გაზეთები მომზადებულია გამარჯვების მოლოდინით სავსე ქვეყანაში, რადგანაც 19 და 23 თებერვლის წარმატებით იქნა მოგერიებული ორი შეტევა და ყველა ფიქრობს, რომ, 1920 წლის მაისის მსგავსად, საქართველო კვლავ გაიმარჯვებს და საბჭოთა რუსეთი უკან დაიხევს, მით უმეტეს იმის გათვალისწინებით, რომ საბჭოთა რუსეთს საქართველოსთვის ომი არ ჰქონდა გამოცხადებული.


მალხაზ მაცაბერიძე

„1921 წლის 25 თებერვლის გაზეთები არის უნიკალური ისტორიული დოკუმენტები, რომლებშიც ასახულია იმდროინდელი ქართული საზოგადოების განწყობა, საბრძოლო სულისკვეთება. ამ გაზეთებში კარგად ჩანს, თუ როგორ აფასებდნენ შექმნილ ვითარებას, რა იმედებითა და მოლოდინებით ცხოვრობდნენ, რითი იმხნევებდნენ თავს და როგორ იბრძოდნენ“, — ამბობს მალხაზ მაცაბერიძე.

ჯიმშერ რეხვიაშვილი

თუ გვინდა, რომ საქართველომ იცოცხლოს!..

ამ დღეებში ერთმა თვალსაჩინო ვითარებამ მიიპყრო ჩემი ყურადღება.

„ორი შვილი თქვენად, მესამე კი ჩემი იქნება, მათ აღზრდაში თქვენს გვერდით მიგულეთ!“, — უბრძანებია არცთუ ისე პატარა ქვეყნის პრეზიდენტ ლუკაშენკოს.

იმავდროულად 160-მილიონიანი რუსეთის პრეზიდენტმა თავის ხალხს მოუწოდა სიმრავლისკენ და მრავალშვილიან ოჯახებს დიდი მხარდაჭერა აღუთქვა.

ყველა, ყველა, მაგრამ ყაზახეთს, ისევაც ერმრავალ ქვეყანას, არა მგონია დემოგრაფიული პრობლემა ჰქონდეს, მაგრამ მისმა ახალმა თავკაცმა თავის ერს სიმრავლისკენ მოუწოდა, მრავალშვილიან, ამაგდარ დედებს კი დიდი მხარდაჭერა აღუთქვა.

ასეთი ქვეყნების ჩამოთვლა, რომლებიც საკუთარი ერის გამრავლებაზე ზრუნავენ, შორს წაგვიყვანს, მე კი ჩემი სამშობლოს სატკივარი მაწუხებს.

აი, რას წერდა ახლახან ერთ-ერთ გაზეთში მამულიშვილი და ერის ქომაგი, ცნობილი დემოგრაფი ანზორ თოთაძე: **„2000-იან წლებში გაერომ გვამცნო, რომ 2050 წლისთვის საქართველოს მოსახლეობა 28 პროცენტით შემცირდებაო, ჩვენ უკვე მივაღწიეთ ამ მაჩვენებელს.**

უნდა შედგეს დემოგრაფიული კომისია და შემუშავდეს დემოგრაფიული განვითარების სახელმწიფო პროგრამა. ამისთვის საჭიროა მთავრობის ნება. ერმა უნდა გაითავისოს, რომ თავი უნდა გადაირჩინოს. თუ დროზე არ გავატარეთ ეს პოლიტიკა, მერე, მილიონები ან თუნდაც მილიარდები რომ დავხარჯოთ, შედეგი აღარ გვექნება. ხომ ხედავთ 1989 წელს 5 მილიონ 400 ათასი ვიყავით, დღეს კი საქართველოს მოსახლეობა 3 მილიონ 700 ათასიაო.“

ახლა ის ვიკითხოთ, ამ სამ მილიონ შვიდასი ათასიდან ქართველები რამდენი ვართ?

მარტო რუსეთში თითქმის მილიონამდე ჩვენი თანამემამულე ცხოვრობს თურმე!..

ევროპასა და დანარჩენ მსოფლიოში მილიონნახევარიაო!!!

არადა, ამ პრობლემა-სატკივარმა ჯერ კიდევ დიდი ხნის წინათ იჩინა თავი.

ჩვენმა ეროვნულმა გმირმა ჟიული შარტავამ, რუსთავში რომ პირველ კაცად მოგვევლინა და ელვასავით გადაუარა ქალაქს, იქიდანვე განჭვრიტა მომავალი საფრთხე.

ქვეყნის მტერი რომ ურწმუნობა იყო, ვინ ვინ და მან კარგად უწყოდა. არადა, 160-იან ქალაქში ერთი ეკლესია არ იყო.

ჰოდა, აგვიყოლია ერთ დღეს, და ძველი რუსთავი მიტკალ-მიტკალ დავგავეთ.

— ვერ დავიჯერებ, აქ ნატაძრალი არ იყოსო. იმ კომუნისტური ყოფის გაგანია წლებში ეკლესია და მღვდლები თბილისის გარდა, სხვაგან თითო-ოროლა თუ იყო. რუსთავი ხომ სტალინმა და ბერიამ ააშენეს.

ალღომ არ უმტყუნა ჟიულის, ძველ ნაქალაქარში მართლაც აღმოჩნდა საუკუნეების წინანდელი ტაძრის ნაშთი.

ჰოდა, ეს დაედო საფუძვლად ახლის აშენებას...

შემდეგ უკვე ახალმა თავკაცმა თეიმურაზ ხაზარაძემ და აღმასკომის თავმჯდომარემ თემურ დალაქიშვილმა ეს შანსი ხელიდან არ გაუშვეს და მართლაც დიდებული ეკლესია, ისიც ვახტანგ გორგასლის სახელით განდიდებული, ტაძარი ააგეს.

ასე რომ, არ შეუშინდნენ მაღალ ხელისუფალთა რისხვას...

ჟიული შარტავა, როგორც ტელე-რადიო ჟურნალისტს, არ ვიცი, რატომ, მაგრამ გამორჩეულ პატივს მცემდა. ერთხელ თავისთან მიმიწვია, თითქმის ნახევარი საათი ვისაუბრეთ, მერე შემომთავაზა, დემოგრაფიული საზოგადოება ჩამოვაყალიბოთ და ამ საქმეს გაუძეხიო.

ასეც მოვიქეცი, აბა, ამ დიდ მამულიშვილურ საქმეზე უარს როგორ ვიტყოდი.

ისე კი, დღესაც მიკვირს, იმჟამად ქვეყანას ამ მხრივ პრობლემა ნამდვილად არ ჰქონდა და ასე როგორ განჭვრიტა ჩვენი კატასტროფული მომავალი.

რუსთავის სინამდვილეში სწორედ რომ ამ ღვაწლს მოჰყვა დემოგრაფიული ბუმი. რაღაც ათ წელიწადში მრავალშვილიანი დედების რაოდენობა გაათმაგდა. არადა, თავდაპირველად საზოგადოებაში 250 ოთხშვილიანი იყო, შემდეგ იყვნენ 13, 11, 10 და 9-შვილიანი ოჯახებიც. მაშინ კიდევ ერთხელ დავრწმუნდი, თუ რაოდენ უყვარდათ ქართველ დედებს სამშობლო და იმის გუშაგად ჯანმრთელ შვილებს ზრდიდნენ... ეს რომ არა, საუკუნეთა ჯურღმულებიდან ვერა და ვერ გამოაღწევდა ჩვენი ჯიშჯილაგი.

დღეს, ამ გადასახედიდან, შეიძლება კაცს გაუკვირდეს, იმ კომუნისტურ ხანაში რარიგ ზრუნავდნენ ერის გამრავლებაზე და ეს, უწინარეს, ჟიული შარტავის მსგავსი გულმხურვალე მამულიშვილების წყალობით ხდებოდა. დიახ, ეროვნული გმირი, ჟიული შარტავა საქართველოსთვის თავგადადებული პატრიოტი ახალი საქართველოს შემოქმედი იყო. შემდგომში დემოგრაფიული პრობლემების მოგვარების საქმეში მხარში დამიდგნენ ქალაქის იმჟამინდელი ხელმძღვანელები თემურ ხაზარაძე, თემურ დალაქიშვილი, ალექსანდრე უბირია და სხვები.

და ახლა, როდესაც ჩვენი ერი დემოგრაფიული კატასტროფის წინაშეა, მე მივმართავ სალომე ზურაბიშვილს, გიორგი გახარიას, არჩილ თალაკვაძეს, და, ბოლოს, ბატონ ბიძინა ივანიშვილს, ნუ გაწირავენ საქართველოს და „ოცნების“ მთავარი (უმთავრეს!) საზრუნავად სწორედ დემოგრაფიული ღამის გათენება აქციონ!

ამჯერად რუსეთის, ბელარუსის, აზერბაიჯანის, სომხეთის და სხვა მეზობელი ქვეყნების მართლაც ღირსეულ წამოწყებას გახსენებთ.

თუ იმათ დაინახეს საჭიროდ ქვეყნისთვის გადაუდებელი პრობლემები, გადაწყვიტონ, ჩვენ, ასე ღვთაებრივი ქვეყნის პატრონებს რა გვჭირს ისეთი, ხმას რომ არავინ იღებს, არც მუცელჯიბეგასქელებულ ბიზნესმენებს ადარდებთ ერის სატკივარი, არადა, ხელისუფალნო, დროა, გამოფხიზლდეთ, თორემ უქართველებო საქართველოს, მას დანატრებული უცხოელნი დაეპატრონებიან!

არ დავივიწყოთ, მრავალი შვილი საქართველოს ძლიერებაა.

გივი ჯაახუა,
ილია ჭავჭავაძის, დავით კლდიაშვილის, სერგეი მესხისა და საქართველოს მწერალთა კავშირის პრემიების ლაურეატი

◎ **გვეხმაურებიან**

„საიდა“

ძვირფასო რედაქცია! გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ 2020 წლის №31-ში წავიკითხე ვაჟა დანელიას მოგონება აფხაზეთზე „საიდა“.ამ ქალბატონის პატივსაცემად მინდა, გამოგიგზავნოთ ჩემი ორი პატარა ლექსი, რომელიც რამდენიმე წლის წინათ დავწერე.

წერილი საიდას

მომენატრე ძალიან
საყვარელო საიდა,
დედოფალა გამომყვა,
მოგაწოდო საიდან?
თუმცა მამიკომ მითხრა,
რომ ჩამოხვალ გაისად...
მომენატრა პალმები,
თმაქოჩორა ასლანი,
ჩვენს ეზოში დაიკო
ვარდები ხომ გასხალი?
მომიკითხე შავი ზღვა,
ჩვენი კოჭლი თოლია,
ჩემს ფისოს ხომ აპურებ,
ჩემს ყურშას და გროლიას?
იქნებ შემატყობინო
დაიკონა საიდა,
ერთად ხე რომ გადავრგეთ,
ფესვები ხომ გაიდგა?

წერილი ნათიას

წერილი რომ მივიღე,
საყვარელო ნათია.
გეგომ სიხარულისგან
მთელი ღამე ათია,
ფისო, ყურშა, გროლია
ჩვენთან არის სამივე,
კარგად ვუვლით დაიკო,
უფალია გამრიგე.
ჩვენმა ნერგმაც იხარა,
შემოგევლოს საიდა,
თუთიყუში ხომ გახსოვს?
ენა უკვე აიდგა,
ასლანმა წაუკითხა
გაგუს შენი გარათი,
ის დღე დავაგვირგვინეთ
დიდი ლხინის გამართვით.
ყველას შევატყობინეთ,
კარგად რომ ხარ, ჯანმრთელად
გადაჭრილი ბილიკი
ჩვენს შორის რომ გამთელდა,
მომიკითხე რუსთავი,
დედა, მამა, გაგუა,
ჩემეული თოჯინა,
თვალხატულა ღაგუა.

აქედან მოგიკითხა
გუნდამ, იდამ, შაქრიამ,
ჩვენს სიყვარულს დაიკო
ტყვიებიც ვერ წაშლიან.

ლია გეჟანიშვილი
შიო მღვიმელის პრემიის ლაურეატი

ლეშეკ ბალცეროვიჩი თბილისის უნივერსიტეტის საპატიო დოქტორია

პოლონეთის „სამოქალაქო განვითარების ფორუმის“ საბჭოს თავმჯდომარე, პროფესორ ლეშეკ ბალცეროვიჩს თსუ-ს საპატიო დოქტორის წოდება მიენიჭა. საზეიმო ცერემონია თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში გაიმართა. ღონისძიების შემდგომ პროფესორმა საჯარო ლექცია „ინსტიტუციური სისტემები და ცხოვრების ხარისხი“ წაიკითხა.

„ჩემთვის დიდი პატივია ამ დიდებული უნივერსიტეტის მიერ საპატიო დოქტორის წოდების მინიჭება. მნიშვნელოვანია, რომ ეს საქართველოში ხდება. დაინტერესებული ვარ საქართველოს ისტორიით. განსაკუთრებით ვიკვლევ თანამედროვე ისტორიას“, — აღნიშნა პროფესორმა.

საზეიმო ცერემონიაზე მონაწილეობა თსუ-ს რექტორმა გიორგი შარვაშიძემ მიიღო. მისი თქმით, ლეშეკ ბალცეროვიჩი დიდი ხანია, საქართველოს მეგობარია და ხშირად ეხმარებოდა ჩვენს ქვეყანას ეკონომიკურ საკითხებში.

ღონისძიებას განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრი მიხეილ ჩხენკელიც დაესწრო. მან მიულოცა პროფესორ ლეშეკ ბალცეროვიჩს საპატიო დოქტორის წოდება და მის დამსახურებასა და მიღწევებზე ისაუბრა.

პოლონეთის „სამოქალაქო განვითარების ფორუმის“ საბჭოს თავმჯდომარე ლეშეკ ბალცეროვიჩი ე.წ. „შოკური თერაპიის“ ავტორი, ვარშავის ეკონომიკის სკოლის პროფესორი და მსოფლიოს 20-ზე მეტი უნივერსიტეტის საპატიო დოქტორია. 2001-2007 წლებში ის პოლონეთის ეროვნული ბანკის თავმჯდომარე იყო. ასევე, ორჯერ ეკავა პოლონეთის პრემიერ-მინისტრის მოადგილის პოსტი. 2000 წელს ბალცეროვიჩი საქართველოს პრეზიდენტ ედუარდ შევარდნაძის ეკონომიკური მრჩეველი გახლდათ.

ჩინელმა მეცნიერებმა ვაქცინა უკვე შექმნეს, კორონავირუსი მალე დამარცხდება!

ჩინეთის ელჩი რუსეთში აცხადებს, **რომ უკვე შექმნილია ვაქცინა, რომელიც იმუნიტეტის გამომუშავებას უზრუნველყოფს. თუმცა აუცილებელია მისი ბოლომდე დამუშავება და დამატებითი ტესტირება,** — ამის თაობაზე ჟურნალისტებს ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის ელჩმა რუსეთის ფედერაციაში ჩჟან ხანხუეიმ განუცხადა მოსკოვში გამართულ პრეს-კონფერენციაზე. ინფორმაციას რუსული სააგენტო hf;;-ი ავრცელებს.

„ჩინეთში არსებობს მტკიცე რწმენა, რომ ჩვენ უახლოეს მომავალში საბოლოოდ დავამარცხებთ ამ ეპიდემიას, — აცხადებს ელჩი.

მისივე თქმით, ეპიდემიის ცენტრის გარდა, პროვინციებისა და ქალაქების უმეტესობაში ამ თვის ბოლომდე აღდგება ნორმალური რეჟიმი. **„რა თქმა უნდა, ეპიდემიის ცენტრში, ვფიქრობ, ეს მომენტი მოგვიანებით დადგება — დაახლოებით მარტის განმავლობაში“.**

დიპლომატის თქმით, ჩინეთში შემუშავებულმა ვაქცინამ უკვე აჩვენა თავისი ეფექტი. თუმცა დამატებითი კვლევებია საჭირო.

„ჩვენმა მეცნიერებმა უკვე მოგვცეს ვირუსის სამგანზომილებიანი აღწერა — ეს ძალიან კარგი საფუძველია ვაქცინის შესაქმნელად. ჩინეთში უკვე შეიმუშავეს ვაქცინა, რომელიც იმუნიტეტს აჩვენებს, მაგრამ ეს წინასწარი შედეგებია, კიდევ საჭიროა დრო, ვაქცინისშემდგომი ექსპერიმენტებისა და დამუშავებისთვის“, — განმარტა ელჩმა. ელჩმა ჩინური მედიცინის ეფექტიანობაზეც ისაუბრა და თქვა, რომ კორონავირუსული ინფექციის მკურნალობა 85%-ით და მეტით ეფექტიანია ჩინური მედიცინის წყალობით. მისი თქმით, დაავადების ადრეულ ეტაპზე ჩინური მედიცინით მკურნალობის შემთხვევაში პაციენტებს გართულებები აღარ აღენიშნებათ.

„ყველაზე ეფექტიანი კი — ეს არის ევროპული მედიცინა ჩინურ მედიცინასთან შეხამებით, — განაცხადა მან.

„ყოველდღიურად, 2000 ადამიანის გამოჯანმრთელება ხდება, მაშინ როდესაც რამდენიმე ასეული ადამიანი ინფიცირდება ყოველდღე“, — აცხადებს ჩჟან ხანხუეი.

გარდაცვლილთა რიცხვი იზრდება...

ჩინეთში კორონავირუს „კოვიდ-19“-ის მსხვერპლთა რიცხვი 2 663-მდე გაიზარდა. ჩინეთის ჯანდაცვის სახელმწიფო კომიტეტის ინფორმაციით, ვირუსისგან უკვე 27 200-ზე მეტი ადამიანი განიკურნა.

ჩინეთის ჯანდაცვის უწყებაში აცხადებენ, რომ 24 საათში 71 ადამიანი დაიღუპა, 2 600 ადამიანი კი საავადმყოფოებიდან გაწერეს. ახალი ტიპის კორონავირუსით ჩინეთში 77 600-ზე მეტი ადამიანია ინფიცირებული. ინფიცირებულებთან კონტაქტის გამო ჩინელი ექიმები 88 000-მდე ადამიანს აკვირდებიან.

საფრანგეთსა და ვიეტნამში კორონავირუსით ინფიცირებული ყველა პაციენტი განიკურნა

საფრანგეთის ჯანდაცვის მინისტრის ოლივიე ვერანის განცხადებით, საფრანგეთის ტერიტორიაზე ამ დროისთვის არც ერთი ადამიანი არ არის ინფიცირებული ახალი ტიპის კორონავირუსით და ვირუსი ქვეყანაში აღარ ვრცელდება. ვერანმა ასევე აღნიშნა, რომ ბოლო პაციენტი, რომელიც ლიონში იყო ჰოსპიტალიზებული, განიკურნა და სახლში დაბრუნდა. საფრანგეთში ახალი ტიპის კორონავირუსით სულ 12 ადამიანის ინფიცირება იყო დადასტურებული. მათგან ერთი 15 თებერვალს გარდაიცვალა, დანარჩენი 11 კი განიკურნა.

ჩინეთმა ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციას ახალი ტიპის კორონავირუსის გავრცელების შესახებ გასული წლის დეკემბერში აცნობა. ჩინეთში ვირუსს 2 592 ადამიანი ემსხვერპლა, 24 000-ზე მეტი კი განიკურნა.

ვიეტნამში ინფექციურ საავადმყოფოში მყოფი 16 პაციენტი, რომელთაც „კოვიდ-19“ დიაგნოზი დაუსვეს, სრულად გამოჯანმრთელდა და სახლებში დაბრუნდა. ვიეტნამში კორონავირუსით დაავადების ახალი შემთხვევები 13 თებერვლის შემდეგ არ აღურიცხავთ. ერთ-ერთი ბოლო პაციენტი, რომელიც ვიეტნამის ინფექციური საავადმყოფოდან გაწერეს, სამი თვის გოგონაა, რომელსაც ვირუსი ბებიისგან გადაედო. მკურნალობის დროს ჩვილთან ერთად იმყოფებოდა დედაც, რომელიც ბავშვს უვლიდა, თუმცა მას ვირუსი არ გადაეცა.

ტრამპი ვირუსთან საბრძოლველად ემზადება

აშშ-ის პრეზიდენტი კორონავირუსთან საბრძოლველად კონგრესს 2.5 მილიარდი დოლარის გამოყოფას სთხოვს. აღნიშნული თანხიდან ერთ მილიარდზე მეტი ვაქცინის შემუშავებას, დანარჩენი კი, შესაბამისი მოწყობილობებით კლინიკებისა და ლაბორატორიების აღჭურვას მოხმარდება.

დონალდ ტრამპის ინიციატივას უკვე გამოეხმაურა წარმომადგენელთა პალატის სპიკერი ნენსი პელოსი და მოთხოვნილი თანხა „სრულიად არაადეკვატურ მასშტაბად“ შეაფასა. დღეისათვის ახალი კორონავირუსი აშშ-ის სულ 14 მოქალაქეს აქვს დადასტურებული.

ვირუსმა მილიარდერები 139 მილიარდით აზარალა

კორონავირუსის საფრთხის გამო, 24 თებერვალს მსოფლიოს 500-მა უმდიდრესმა ადამიანმა 139 მილიარდი დოლარი დაკარგა. ვირუსის გლობალური გავრცელების საფრთხემ საფონდო ბირჟებზე ინდექსების მკვეთრი ვარდნა გამოიწვია. „ბლუმბერგის“ მონაცემებით, ყველაზე დიდი დანაკარგი ფრანგული კომპანია „ლუი ვიტონ მოეტ ჰენესის“ დირექტორმა ბერნარ არნომ და „ამაზონის“ ხელმძღვანელმა, ჯეფ ბეზოსმა განიცადეს. თითოეულმა მათგანმა 4.8 მილიარდი დოლარი დაკარგა.

ესპანური სავაჭრო ქსელის, „ზარას“ მფლობელმა ამანსიო ორტეგამ ერთ დღეში ოთხი მილიარდი დოლარით იზარალა, „ფეისბუქის“ დამფუძნებელმა მარკ ცუკერბერგმა კი, 3.48 მილიარდი დოლარით. წამყვანი ამერიკული საფონდო ინდექსები 24 თებერვლის ვაჭრობის დასასრულს, სამი პროცენტით შემცირდა.

ამერიკულ სამრეწველო ინდექს „დოუ ჯონსს“ 3.56-პროცენტიანი კლება ჰქონდა, „ეს ენდ პი 500“-ს — 3.35-პროცენტიანი, მაღალტექნოლოგიურ სააქციო ბირჟა „ნასდაქს“ კი — 3.71-პროცენტიანი.

ერთი პირბადე 70 ევრო ღირს ...

მილანის პროკურატურამ პირბადეების სპეკულაციურ ფასად გაყიდვის გამო გამოძიება დაიწყო. როგორც იტალიური გამოცემა „კორიერა დელა სერა“ იუწყება, კორონავირუსის გამო, იტალიაში სანიტარიულ ნიღბებსა და სადეზინფექციო საშუალებებზე ფასები მნიშვნელოვნად გაიზარდა. ინტერნეტმაღაზიებში პირბადის ფასი 70 ევროს აღწევდა.

ამჟამად საქმეს კონკრეტული ფიგურანტები არ ჰყავს. თუმცა, მსგავსი დანაშაულისთვის კანონით გათვალისწინებულია ექვსი თვიდან სამ წლამდე პატიმრობა და 25 ათასი ევროს ოდენობით ჯარიმა.

წითელი ჯვრის წარმომადგენლები, ასევე იუწყებიან, რომ გარკვეული პირები ბოროტად იყენებენ შექმნილ მდგომარეობას, მოქალაქეებს მოხალისეებად ეცნობიან, შედიან ხნიერი ადამიანების სახლებში და სოლიდური ანაზღაურების სანაცვლოდ სამედიცინო ნიღბების შემოწმებას სთავაზობენ.

ამჟამად იტალიაში კორონავირუსით ინფიცირებულთა რიცხვი 230-ს აღწევს. დაავადებულების უმრავლესობა ქვეყნის ჩრდილოეთ ნაწილში ლომბარდიის რეგიონში ცხოვრობს. კორონავირუსს იტალიაში შვიდი ადამიანი ემსხვერპლა.

პუტინის, მერკელისა და მაკრონის მონაწილეობით სამიტის გამართვაზე ჯერ ვერ თანხმდებიან

თურქეთის პრეზიდენტ რეჯეფ თაიპ ერდოღანის თქმით, სირიაში შექმნილ მდგომარეობასთან დაკავშირებით, პუტინის, მაკრონისა და მერკელის მონაწილეობით სამიტის გამართვასთან დაკავშირებით შეთანხმება ჯერ მიღწეული არ არის.

ამასთან, ერდოღანის ინფორმაციით, 26 თებერვალს თურქეთში რუსეთის სამთავრობო დელეგაცია ჩავა და თურქეთის მხარესთან, სირიაში, კერძოდ, იდლიბის პროვინციაში შექმნილ მდგომარეობას განიხილავს. 21 თებერვალს თურქეთის პრეზიდენტმა განაცხადა, რომ გერმანიის კანცლერმა და საფრანგეთის პრეზიდენტმა რუსეთის პრეზიდენტს სამიტის გამართვა 5 მარტს სტამბოლში შესთავაზეს. თუმცა, ერდოღანის თქმით, პუტინს ამ შეთავაზებაზე თანხმობა ჯერ არ განუცხადებია.

სირიის პროვინცია იდლიბში უკვე რამდენიმე კვირაა, შეტაკებები მიმდინარეობს. თურქი სამხედროები და მათი მხარდაჭერით მოქმედი სირიელი ოპოზიციონერების შეიარაღებული შენაერთები პროვინცია იდლიბში ბაშარ ასადის არმიას დაუპირისპირდნენ, რომელიც პროვინციაზე კონტროლის აღდგენას ცდილობს.

რუსეთი მხარს უჭერს სეპარატისტებს...

პოლონეთის პრეზიდენტმა ანჯეი დუდამ რუსეთი აგრესიაში და ყირიმისა და უკრაინის სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილის ოკუპაციაში დაადანაშაულა.

„რუსეთი მხარს უჭერს სეპარატისტებს და აგრესიას ავლენს სხვა ქვეყნების მიმართ. რუსეთი ძალის დემონსტრირებას მაშინაც კი ახდენს, როდესაც საჰაერო სივრცეს არღვევს“, — განაცხადა ანჯეი დუდამ.

პოლონეთის პრეზიდენტის თქმით, ქვეყანა, რომელიც მსგავს პოლიტიკას ატარებს, „არ შეიძლება ნდობას იმსახურებდეს და მიიჩნეოდეს, რომ მშვიდობიანი გზებით ატარებს თავის ინტერესებს“.

მანამდე პოლონეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა იაცეკ ჩაპუტოვიჩმა რუსეთის ევროკავშირისთვის საფრთხედ მოიხსენია.

დონბასში საბრძოლო მოქმედებები გრძელდება

გასული დღეღამის განმავლობაში **დონბასში ცეცხლის შეწყვეტის შეთანხმება ნ-ჯერ დაირღვა.**

უკანონო შეიარაღებულმა ფორმირებებმა ცეცხლი შტაბის ტერიტორიის მიმართულებით გახსნეს. კონფლიქტი უკრაინის აღმოსავლეთით 18 თებერვალს განახლდა, როცა პრორუსულმა ძალებმა უკრაინელებს ცეცხლი გაუხსნეს. მაშინ 1 დაიღუპა, 4 კი დაშავდა. ცეცხლის შეწყვეტისკენ მხარეებს ევროკავშირმა, ნატომ, ეუთომ და გაერომ მოუწოდეს.

„როგორ მინდა, ბუსუსი გამოჩნდეს, რომ თქვენც დაინახოთ! იცით, რამდენი ხანი ვფიქრობდი, რა შეიძლება ყოფილიყო პალმის რტოს მსგავსი ეს გამოსახულება? თუ გაგვიმართლა... აქ სულ 33 რიგია, ზედმიწევნით უნდა გაიარო და ამოწმო, რა შეგხვდება... Yes! გამოჩნდა, შეხედეთ, რა ლამაზია!“

პალინოლოგი ელისო ყვავაძე თავის „ოლიმპუსს“ ჩემკენ ატრიალებს და ბოლო თაობის მიკროსკოპში ჩახედვის უფლებას მაძლევს — ჯერ სითეთრე მოჩანს, მერე კი შეუჩვეველი თვალისთვის გადღაბნილ ფიგურებს ვხედავ, რამდენიმე წამი მჭირდება, რომ მეც მკაფიოდ დავინახო ის, რაც თვალით უხილავია — ფუტკრის ბუსუსი, რომელიც თაფლში აღმოჩნდა.

მეფუტკრეები აღრებრინჯაოს ხანის საქართველოდან



მაგრამ ეს ახლაა მარტივი, იცოდე, რა არის სინამდვილეში „პალმის რტო“ და საიდან აღმოჩნდა ის უძველეს თაფლში, თორემ წლების წინათ, როცა ელისო ყვავაძემ ორგანულ ნაშთებს ჩახედა და იქ თაფლოვანი მცენარეების მტვრის მარცვლებთან ერთად ეს გამოსახულებაც დაინახა, უდიდესი კითხვის ნიშანი გაუჩნდა, რომელზე პასუხის გაცემასაც დრო დასჭირდა და უწყვეტი ფიქრიც — რა შეიძლება იყოს, რა უნდა იყოს?

დღეს პასუხები უკვე არსებობს — თან შთამბეჭდავი.

პალინოლოგიური კვლევებით დადასტურებულია, რომ საქართველოს ტერიტორიაზე, ჯერ კიდევ 8000 წლის წინათ, ანუ ნეოლითურ ეპოქაში ვითარდება მეფუტკრეობა. გვხვდება შინაური თაფლი. ცოტა მოგვიანებით კი ადამიანები თაფლს მიცვალებულების ბალზამირებისთვის იყენებენ.

პალინოლოგები ოცნებობენ თაფლთან შეხვედრაზე.

ელისო ყვავაძეს კი ძალიან გაუმართლა — თაფლის კვალს მან საქართველოში 7 უძველეს ძეგლზე მიაგნო. ეს ნიშანი იყო იმისა, რომ ჯერ კიდევ ნეოლითის პერიოდიდან, და უფრო ინტენსიურად ადრებრინჯაოს ხანაში, საქართველოს ტერიტორიაზე მცხოვრებ ადამიანს ფუტკარი მოშინაურებული ჰყავდა.

პალინოლოგიურმა კვლევამ ისიც აჩვენა, რომ მიცვალებულებს სამარხში ატანდნენ პირველადი დახმარების აფთიაქებს. იმ მცენარეთა სიაც დადგენილია, რომლებსაც ადრებრინჯაოს ხანის ადამიანი ინტენსიურად მოიხმარდა, თუმცა, დღევანდელ ეთნოფარმაკოლოგიაში მათზე მონაცემები არ არსებობს.

ესენია ძელქვა, ლაფანი, უხრავი, გვიმრა, კრიპროგრამა.

სამკურნალო მცენარეების თვისებებიდან გამომდინარე კი, ამ პერიოდში ყველაზე გავრცელებული დაავადებები კუჭ-ნაწლავის ინფექციები, რევმატიზმი და ჰელმინთოზი უნდა ყოფილიყო.

ერთი შეხედვით, თითქოს წარმოუდგენელია მცენარის მტვრის უხილავმა მარცვალმა უძველესი ყოფის სრული სურათი აღადგინოს (კლასიკური განმარტების თანახმად, პალინოლოგია მიკრობოტანიკის დარგია, რომელიც მცენარეების ყვავილის მტვრის მარცვლებს შეისწავლის. თუმცა დღეს პალინოლოგია სწავლობს ასევე ყველა სხვა მიკროსკოპულ ორგანიზმს — მწერების ბუსუსები იქნება ეს, ხის მერქნის უჯრედები თუ სხვა) მაგრამ სწორედ ამ დარგის დახმარებას იყენებენ არქეოლოგები კონკრეტული დროის გარემო პირობების რეკონსტრუქციისთვის.

მცენარის მტვრის მეხსიერება

ხანდახან ამ თვალით უხილავ კომპლექსში ძალიან ბევრი ინფორმაცია ამოდის. ზოგჯერ — ერთდროულად 80 მცენარის მტვრის მარცვალი მოჩანს. და მერე იწყება, ხანგრძლივი კვლევა — სპექტრში დიდი რაოდენობით ჭინჭარი ან მრავალძარღვაა? ეს ხომ იმის ნიშანია, რომ იმ ადგილას, საიდანაც ეს ორგანული მასალა აიღეს, ადამიანს უნდა ეცხოვრა.

„რატომ? იმიტომ, რომ ვიცით, ჭინჭარი ადამიანის ეზოს სარეველაა. ეს არის ადამიანის არსებობის ინდიკატორი. ვიცით, რომ ბევრი მცენარე ადამიანს თან მიჰყვება. რომ, მაგალითად, ხორბლის ყანას მუდამ თავისი სარეველა ახლავს — მატიტელა ან ხვართქლა. და როცა ხორბლის მტვრის გარდა, გვხვდება ამ სარეველების მტვერიც, ეს უკვე ინფორმაციაა. ყველაფერი კი ერთმანეთს ეხმარება და იმის თქმის საფუძელს გვაძლევს, რომ კონკრეტულ ადგილას მეხორბლეობა იყო განვითარებული ან მევენახეობა ან რაზეც ახლა ვლაპარაკობთ — მეფუტკრეობა“, — პოპულარული ენით გვიხსნის ელისო ყვავაძე.

მისი და კიდევ ელისოს ორი კოლეგის, მაია ჭიჭინაძისა და ინგა მარტყოფლიშვილის ავტორობით სწორედ ახლა დაიბეჭდა წიგნი, რომელიც საქართველოს ადრებრინჯაოს ხანის ძეგლების პალინოლოგიურ მონაცემებს აჯამებს და მასში იმ კვლევის მთავარი შედეგებია თავმოყრილი, რომელიც შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის მხარდაჭერით მიმდინარეობდა.

არტეფაქტებში არსებულ ორგანულ ნაშთებს პირველად მსოფლიოში ყურადღება ამერიკელმა პალინოლოგებმა მიაქციეს. საქართველოში კი ყველაზე ადრინდელი პალინოლოგიური კვლევები ქვის ხანის არქეოლოგიურ ძეგლებზე ჩატარდა — ცუცხვათის გამოქვაბულში, ახალქალაქსა და დმანისში. თუმცა მაშინ ძირითადი ყურადღება ექცეოდა პალეოლითის დროის მცენარეული საფარისა და კლიმატის ცვლილების ისტორიას.

თაფლის კვალი ჯერ აღმოჩენილი არ იყო. **ეს მოხდა 2004 წლიდან, როცა საქართველოში კომპანია British Petroleum-მა ნავთობსადენის გაყვანა დაიწყო და იმავე ტერიტორიაზე, როგორც წესია, ინტენსიური არქეოლოგიური გათხრები დაიგეგმა.**

ელისო ყვავაძე

მეფუტკრე ქალი კოდიანის ყორღანიდან (აღრებრინჯაოს ხანა)

კოდიანის ყორღანი არქეოლოგებმა ბაკურიანის სამხრეთის მდებარე სოფელ საკირეს მახლობლად (ზღვის დონიდან 2289 მეტრი) აღმოაჩინეს. ეს არქეოლოგიური ძეგლი **ძვ.წ. აღ. 27-25 საუკუნეებით თარიღდება.**

გათხრების შედეგად სწორედ იქ იპოვეს ქალის ჩონჩხი. ქალი, ანთროპოლოგების დასკვნით, 50 წლისა უნდა გარდაცვლილიყო. მას სამი ჭურჭელი ჰქონდა ჩატანებული — ორი თიხის, ერთიც ხის. სამივე ჭურჭელი ოდესღაც თაფლით სავსე უნდა ყოფილიყო. ორგანული მასალის ანალიზმა აჩვენა, რომ მასში 80% თაფლოვანი მცენარეების მტვერი იყო, თან ყველა ჭურჭელში განსხვავებული თაფლი ესხა: ერთში ცაცხვის მტვერი აღმოჩნდა, მეორეში — მარცვლოვნების მტვერი, მესამეში კი — ველის ბალახოვანი მცენარეების მტვერი. მტვერი ბევრი იყო, თითქოს მუჭით ჩაყრილი!

ხოლო თავად ფაქტმა, რომ მიცვალებული ქალი იყო და მას სამარხში სამივე ჭურჭლით თაფლი ჩაატანეს, მეცნიერებში გააჩინა ვარაუდი, რომ შესაძლოა, სწორედ ქალები იყვნენ პირველი მეფუტკრეები. ქალები, რომლებიც შემგროვებლობის გარდა ფუტკრის მოშენებასაც მისდევდნენ.

„წარმოიდგინეთ, ამ მომენტში ვარ, ფაქტობრივად გაოგნებული, თუ რატომ არის ამდენი მტვერი და სწორედ ამ დროს თბილისში პრაღიდან ჩამოვიდა ძალიან ცნობილი პალინოლოგი პეტრე პოკორნი. პირველად მას ვაჩვენე მასალა. ელისო, ეს თაფლია, მითხრა მან. მერე შეესაბამის ლიტერატურაშიც გადავამოწმე. საეჭვოა, ორ-ერთ-ერთ სამარხში აღმოჩნდა კაცის ჩონჩხი, რომელსაც ჩატანებული ჰქონდა თაფლით სავსე ჭურჭელი.

„ასეც გამოვაქვეყნეთ, რომ საქმე უძველეს მეფუტკრეობასთან გვქონდა. რომ ეს იყო ევროპაში ყველაზე ადრინდელი მეფუტკრეობის კვალი. საერთაშორისო სამეცნიერო წრეებში ამ ამბავს ძალიან დიდი გამოხმაურება ჰქონდა“.

კოდიანის შემდეგ ელისო ყვავაძე თაფლს სხვა უძველეს ძეგლებზეც შეხვდა. მათ შორის იყო ადრებრინჯაოს ხანის ნამოსახლარი ძეძვებიც.

თაფლში შენახული მიცვალებული - ძეძვების ნამოსახლარი

ძეძვების ნამოსახლარი მტკვარ-არაქსის კულტურის ძეგლადაა მიჩნეული (ძვ. წ. IV ათასწლეულის II ნახევარი). ის საყდრისის ოქროს საბადოსთან ახლოს აღმოაჩინეს.სწორედ იქ, ერთ-ერთ სამარხში აღმოჩნდა კაცის ჩონჩხი, რომელსაც ჩატანებული ჰქონდა თაფლით სავსე ჭურჭელი.

თაფლის კვალი აღმოჩნდა თავად მიცვალებულის ნაშთებზეც, რამაც მეცნიერები მიიყვანა დასკვნამდე, რომ მისი სხეული გარდაცვალების შემდგომ თაფლით იყო ბალზამირებული. სელის ქსოვილის ბოჭკო კი იმაზე მიუთითებდა, გვიზიარებს თავის ვარაუდს ელისო ყვავაძე, რომ თაფლწასმული მიცვალებული ქსოვილში შეახვიეს და ისე დაკრძალეს. საქართველოს ტერიტორიაზე ეს ტრადიცია გრძელდებოდა ბედენური კულტურის დრომდე.

ძეძვების ნამოსახლარში აღმოჩენილ ჭურჭელში თაფლოვან მცენარეთა გარდა, ფუტკრის მიკროსკოპული ნაშთებიც აღმოჩნდა.

ბუსუსის ამოცნობა

ამ „რაღაცას“, პალმის რტოს რომ ამსგავსებდა, ელისო ყვავაძე ხშირად ხედავდა მიკროსკოპში. მაგრამ რა იყო, არ იცოდა. გავიდა დრო და ერთ დღესაც, თანამშრომელმა გოგონებმა თაფლის ყიდვა გადაწყვიტეს და მისი ნამდვილობის დასადასტურებლად ელისოს მისი შემოწმება სთხოვეს. თუ თაფლი სუფთა არ არის და შაქარგარეულია, მასში თაფლოვანი მცენარეების მტვრის მარცვლები **ან ცოტაა, ან საერთოდ** არ ჩანს.

მიკროსკოპში ჩაიხედა და შეჰყვირა.

ისევ იგივე გამოსახულება, რაც საუკუნეების წინანდელ თაფლში იყო. კავშირი რომ არსებობდა, ამას წყალი არ გაუვიდოდა, მაგრამ რა? თანამშრომელს, რომლის ბიძაც მეფუტკრე იყო, ორი მკვდარი ფუტკრის ჩამოტანა სთხოვა და იმ ღამით, როცა ფუტკრის ბუსუსებს მიკროსკოპით დახედა, ხელმეორედ იყვირა.

ფუტკარი, რა თქმა უნდა! ფუტკარი ყოფილა!

„ჩემზე ბედნიერი არავინ იყო. ეს იყო ახალი და თაფლის არსებობის კიდევ ერთი არგუმენტი. მაშინ იმ თანამედროვე თაფლის შემოწმება რომ არ ეთხოვათ, ალბათ, კიდევ დიდხანს დამრჩებოდა კითხვები. და იცით, რატომ არის ეგეთი წვეტიანი ფორმის? ზედ რომ მტვრის მარცვალი წამოეგოს. ხომ მაგარია?“

მაგრამ მერე ახალი კითხვა გაჩნდა. მაინც რატომ იყო ბუსუსი? დაიწყო იმის მოკვლევა, თუ როგორ მუშაობს ფუტკარი და აღმოაჩინა, რომ როდესაც ის ყვავილშია ჩამძვრალი, მთლიანად ამოგანგლულია მის მტვერში. ამ მტვერს ის თავისივე ტანიდან თავისივე კიდურებით აგროვებს, აკეთებს გუნდას და იმ გუნდას უკანა ფეხებთან არსებულ პატარა „ჯიბეებში“ იტენის. ხანდახან ეს გუნდა იმხელაა, ფუტკარს ფრენა უჭირს. მაგრამ სწორედ ასე უნდა გამოკვებოს შვილები და გააკეთოს თაფლი.

„ამ გასაოცარი რიტუალის დროს ხვდება ზუსტად თაფლში ფუტკრის ბუსუსებიც და კლანჭებიც“.

წიგნის ყდაზეც ფუტკრის ბუსუსის მიკროსკოპული გამოსახულება ახატია, როგორც თაფლის არსებობის მყარი არგუმენტი.

თაფლის პირველი კვალი ნეოლითის ხანიდან

ყველაზე ძველი მეფუტკრეების არსებობა საქართველოს ტერიტორიაზე გადაჭრილი გორისა და შულავერის გორის ჭურჭლიდან აღებული მასალის გამოკვლევით დადგინდა. ეს არტეფაქტი 8000 წლით თარიღდება. შულავერის გორაზე იპოვეს ღუმლის ნაშთები, რომლის ძირის ანაფხეკის ანალიზით ელისო ყვავაძემ დაადგინა, რომ მასში ცეცხლის და ნახშირის ნარჩენების გარდა, თაფლის ნაშთებიც იყო.

„როგორც ჩანს, იქ თაფლი საჭმლის კეთებისას ჩაეღვარათ. უფრო გვიანდელ, ბედენის ყორღანში კი ვიპოვეთ ცვილი, რომელიც მიცვალებულის სამარხში ჩატანებულ პატარა აფთიაქში იყო. ესე იგი, მათ უკვე იცოდნენ, რომ ცვილს სამკურნალო თვისებებიც ჰქონდა“, — **ამბობს ელისო ყვავაძე.**

თაფლიანი ორცხობილა თეთრიწყაროს ყორღანიდან

მაგრამ იმან, რაც იპოვეს თეთრიწყაროს ყორღანში (ძვ. წ. 24-22 საუკუნით დათარიღებული), რომელიც უსახელო ტბის ჩრდილოაღმოსავლეთით, ნადარბაზევთან მდებარეობს, ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა. ეს იყო აგურის ფორმის ნაჭერი, რომელიც არქეოლოგებს თავიდან ხე ეგონათ („ხის ფიცრის მოზრდილი ნატეხი“) და ღია ფერის სამკუთხა საგანი, რომელიც ჩათვალეს, რომ ქვა იყო („ქვიშაქვის მოგრძო საგანი“).

თუმცა გარკვეული პერიოდის შემდეგ, არქეოლოგებს ისევ დასჭირდათ პალინოლოგის დახმარება და მათ ელისო ყვავაძეს სთხოვეს, ორივე საგანი შეემოწმებინა.

რაც ხე ეგონათ — აგურის ფორმის განამარხებული პური აღმოჩნდა. და ეს იყო მსოფლიოში ერთ-ერთ პირველი ფორმამიცემული პური, რომელიც მოგვიანებით მსოფლიოს არაერთ ქვეყანაში გამოიფინა.

რაც ქვა ეგონათ, ის კი — არც მეტი, არც ნაკლები, თაფლიანი ორცხობილაა. მასში ელისომ იპოვა ფუტკრის ბუსუსებიც, ცაცხვიც, ხორბლის მტვრის მარცვლები, თხილი და პიტნა.

ეს იყო უძველესი ადამიანის მიერ თაფლით გამომცხვარი ტკბილი ორცხობილა.

ეკა ძევანიშვილი

◎ რატომ?

ბინძური თამაშები

უკვე გაუწყეთ, რომ საქართველოს რაგბის კავშირის პრეზიდენტის არჩევნები მინიმუმ 10 და მაქსიმუმ 30 დღის შემდეგ ჩატარდება.

როგორც ირკვევა, რეგისტრაციაში დელეგატთა მნიშვნელოვანმა ნაწილმა მონაწილეობა არ მიიღო.

საქართველოს რაგბის კავშირის ყრილობის დაწყებამდე საგანგებო მიმართვა გაავრცელა ერთ-ერთმა კანდიდატმა **ბაჩო ხურციძემ**, რომელმაც განაცხადა, რომ მოქმედ პრეზიდენტ გოჩა სვანიძის მიერ განხორციელებული უსამართლო ქმედებების გამო არჩევნებზე დასწრებას არ აპირებდა. მას თავისი კანდიდატურა არ მოუხსნია, თუმცა, რეალურად ორი პრეტენდენტი დატოვა.

სრკ-ის მოქმედ თავკაც **გოჩა სვანიძის** თქმით, ქვორუმი იმის გამო არ შედგა, რომ ზოგიერთი დელეგატი აიძულეს, არჩევნებზე არ მისულიყო, პრეზიდენტობის ერთ-ერთი კანდიდატი **ირაკლი აბუსერიძე** კი ამბობს, რომ არჩევნებზე ბევრი დელეგატი მივიდა, თუმცა, მათ რეგისტრაცია შეგნებულად არ გაიარეს.

„რომ გაევლოთ რეგისტრაცია, მერე რა? ამით ისინი უბრალოდ ამ უსამართლობის თანამონაწილენი ხდებოდნენ“, — განაცხადა აბუსერიძემ.

შეგახსენებთ, რომ საქართველოს რაგბის კავშირის საპრეზიდენტო არჩევნებზე კლუბების მიერ სამი კანდიდატია წარდგენილი:

გოჩა სვანიძე: „ლელო“, „აკადემია“, „აია“, „ჯიქი“, „ყოჩები“, „იუნკერები“, „ბაგრატი“, „არესი“, „დინამო“, „ზესტაფონის არწივები“, „გორდა“, „იბერია“, „წიქარა“, „ავჭალა“, „ფოთის კოლხი რაინდები“, „ჯრუჭი“, „ლაშარი“, „მიმინო“;

ირაკლი აბუსერიძე: „რუსთავის ხარები“, „ლოკომოტივი“, „ბათუმი“, „არმაზი“, „არმია“, „ვეფხვები“;

ბაჩო ხურციძე: „ვანის აიეტი“.

კობა კობახიძე

◎ სუმო

ქართველები დაქვეითდნენ

იაპონიის სუმოს ასოციაციამ განახლებული რეიტინგი გამოაქვეყნა, რომლის მიხედვითაც რიკიშები ჰარუ ბაშოზე იასპარეზებენ.

ქართველმა სუმოისტებმა, მოლოდინისამებრ, რეიტინგში რეგრესი განიცადეს. კერძოდ, ლევან გორგაძემ 3 საფეხურით უკან დაიხია და მარტში გასამართ ბაშოზე მე-9 მაეგაშირა იქნება, ეს კი იმას ნიშნავს, რომ ტოჩინოშინს შედარებით დაბალ ნიშნულზე მყოფ სუმოისტებთან მოუწევს დაპირისპირება.

რაც შეეხება თეიმურაზ ჯუღელს, გაგამარუ 35 პოზიციით დაქვეითდა და დასავლეთის 44-ე ნომერია. მას მუხლის ტრავმა აწუხებს და, შესაძლოა, ვერც ჰარუ ბაშოზე გამოვიდეს დოჰიოზე.

მანუჩარ გიორგაძე

◎ მაშველი რგოლი

„ტორპედოს“ სპონსორები

ქუთაისის „ტორპედოს“ ახალი გენერალური სპონსორი ჰყავს საერთაშორისო კომპანია „ედენაროს“ სახით, რომელიც ერთ-ერთი ყველაზე დიდი ონლაინ გაყიდვების მაღაზიაა. შესაბამის ინფორმაციას იმერული კლუბი ავრცელებს.

აღნიშნულ კომპანიაში ნებისმიერი ნივთის შეძენაა შესაძლებელი. „ედენარო“ წარმატებით მუშაობს როგორც ევროპულ, ისე ამერიკულ ბაზარზე.

გარდა ამისა, ქუთათურებს ახალი ტექნიკური სპონსორიც ჰყავთ და ამიერიდან „ტორპედოს“ ცნობილი იტალიური კომპანია Kappa შემოსავს.

გიორგი ზოთაძე

◎ ოკეანის გაღმა

როცა ურემი გადაბრუნდა

ლეგენდარული კობი ბრაიანტის მეუღლე კომპანია Island Express Helicopters -ს უჩივის, რომლის ვერტმფრენმაც ავიაკატასტროფა განიცადა და კალათბურთელი 13 წლის შვილთან ერთად იმსხვერპლა, — იუწყება Los Angeles Times.

გამოცემის ინფორმაციით, სასამართლოში შეტანილ სარჩელში ადვოკატები ვერტმფრენის გარდაცვლილი პილოტის ბრალეულობასაც აღნიშნავენ, თუმცა, მთავარ პასუხისმგებლობას მაინც კომპანიას აკისრებენ.

რა რაოდენობის თანხის გადახდა მოუწევს ვერტმფრენების კომპანიას, ჯერჯერობით უცნობია.

ვიტალი ჯაფარიძე

◎ ლეგალური სიახლე

„მერსედესის“ ორლერძიანი...

ბარსელონაში გამართული პირველი წინასასეზონო ტესტების შემდეგ ყველას პირზე „მერსედესის“ სიახლე აკერია, რომელსაც ორლერძიანი საჭე (DAS) უწოდეს. მიუხედავად იმისა, რომ ბევრი ამ სისტემას ტექნიკური რეგლამენტისთვის შეუსაბამოდ მიიჩნევს, საერთაშორისო საავტომობილო ფედერაციამ (FIA) გამოაცხადა, რომ ასე არაა, თუმცა, წინდაწინ ისიც ცნობილი გახდა, რომ ასეთი სისტემები 2021 წლიდან აიკრძალება.

სისტემა ასე მუშაობს: სწორზე გასვლისას პილოტი საჭეს თავისკენ, ღერძის გასწვრივ სწევს, რის შემდეგაც საკიდარის გეომეტრია, კერძოდ კი ბორბლების შეყრის კუთხე იცვლება, მოსახვევში შესვლის წინ კი პილოტი საჭეს საწყის მდგომარეობაში აბრუნებს. ამგვარად, სხვადასხვა სიჩქარეზე საბურავების განსხვავებული პოზიცია მიიღწევა, რაც გზასთან ოპტიმალურ ჩაჭიდებას უზრუნველყოფს. რაც ასევე მნიშვნელოვანია, ამგვარად შესაძლებელია საბურავების ტემპერატურის კონტროლი და სასურველი რეჟიმის უზრუნველყოფა.

„მერსედესში“ ირწმუნებიან, რომ სისტემა ჯერჯერობით გამოცდის რეჟიმშია და რბოლებისას მისი გამოყენება ჯერ გადაწყვეტილი არაა, თუმცა, მეტოქე გუნდების რეაქციის მიხედვით შეიძლება ითქვას, რომ DAS-ი ძალიან ეფექტური სისტემაა და თუ ასეა, სამქიმიანები მას აუცილებლად გამოიყენებენ.

რა თქმა უნდა, მსგავსი სისტემის შექმნა სხვა გუნდებსაც შეუძლიათ, მაგრამ ამას ბევრი დროც დასჭირდება და, რაც მთავარია, შესაძლოა წინა საკიდარის და შასის გადაკეთებაც კი მოითხოვოს, რაც სერიოზულ პრობლემას წარმოადგენს. გავრცელებული მოსაზრებით, სხვა გუნდები მსგავსი სისტემის შექმნას სეზონის პირველ ნახევარში ვერ მოასწრებენ.

საინტერესოა, რომ ლუის ჰამილტონი DAS-ს ხშირად არ იყენებდა, რადგან ამას წინა საბურავების ინტენსიური ცვეთის გამოწვევა შეუძლია, რაც არასასურველია.

ბეჭან დოლიძე

სანთელი

საქართველოს სპორტულ ჟურნალისტთა ასოციაცია და გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ რედაქცია თანაუგრძნობენ ძვირფას მეგობარსა და კოლეგას, ცნობილ საფეხბურთო მოღვაწეს ჯემალ ჭიპაშვილს დედის

მერი კაპანაძის

გარდაცვალების გამო.

ცნობილი უკრაინელი პოეტის მუზეუმი სრულად განახლდება

სურამში ცნობილი უკრაინელი პოეტისა და მწერლის ლესია უკრაინკას სახლ-მუზეუმის სრულმასშტაბიანი რეაბილიტაცია იწყება.

წინასარეაბილიტაციო პროცესს დაბა სურამში გუშინ კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს გენერალური დირექტორი ნიკოლოზ ანთიძე, შიდა ქართლის რეგიონის სახელმწიფო რწმუნებულთან გიორგი ხოჯევანიშვილთან და უკრაინის სრულუფლებიან ელჩთან იგორ დოლგოვთან ერთად გაეცნო.

მუზეუმის ნაგებობის სრული დაზიანება მეწყრულმა პროცესებმა გამოიწვია, რის შედეგად გადაწყდა მისი დაშლა და ხელახლა აგება.

გეოლოგიური დასკვნის საფუძველზე მომზადებული არქიტექტურული პროექტის თანახმად, რომელიც საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს დაკვეთით კომპანია „არტ-ბილდინგმა“ შეასრულა, აუთენტური ფორმით აშენდება ახალი სამუზეუმო შენობა. რეკონსტრუქციის შედეგად განახლდება სახლ-მუზეუმის ეზოს ინფრასტრუქტურა. თანამედროვე სტანდარტებით მოეწყობა სამუზეუმო სივრცე, რომელიც ადაპტირებული იქნება შშმ პირებისთვის. განახლდება მუზეუმის გალავანი და მისი ყველა ელემენტი. საერთაშორისო მოთხოვნების შესაბამისად, მოეწყობა ფონდსაცავები. სამუზეუმო ექსპოზიცია სახლ-მუზეუმის თანამედროვე მუზეოგრაფიის კონცეფციას დაექვემდებარება, რაც მას მეტ შინაარსობრივ დატვირთვას შესძენს. სახლ-მუზეუმის რეაბილიტაცია 2021 წელს დასრულდება.

ლესია უკრაინკას მემორიალური მუზეუმი ხაშურის მუნიციპალიტეტის დაბა სურამში, სურამელი აზნაურის, ცნობილი ეთნოგრაფის ნიკოლოზ აბაზაძის XIX საუკუნის სახლშია გახსნილი. მუზეუმის ფონდებში დაცულია ლესია უკრაინკას ცხოვრებასა და შემოქმედებასთან დაკავშირებული მასალები: პოეტის კრებულები, ხელნაწერები, სხვადასხვა ხასიათის დოკუმენტები, სახვითი ხელოვნების ნიმუშები, ნუმიზმატიკური,

ყოჩი ბიჭების ჩხუბმა რამდენი ოჯახი გააუბედურა!

სასამართლომ მიხეილ კალანდია დავით სარალიძის განზრახ ჯგუფურად მკვლელობაში დამნაშავედ ცნო და მას თავისუფლების აღკვეთა 11 წლით და 3 თვის ვადით შეუფარდა.

აღნიშნული გადაწყვეტილება თბილისის საქალაქო სასამართლოს მოსამართლე ნიკოლოზ მარსაგიშვილმა გუშინ გამოაცხადა.

მოსამართლის გადაწყვეტილებას დარბაზში ხმაური მოჰყვა.

შეგახსენებთ, რომ ხორავას ქუჩაზე ორი მოზარდი 2017 წლის 1 დეკემბერს დაჭრეს. ლევან დადუნაშვილი საავადმყოფოში მიყვანამდე გარდაიცვალა, დავით სარალიძე კი, ექიმების მცდელობისა და რამდენიმე ოპერაციის ჩატარების მიუხედავად, 2 დეკემბერს საავადმყოფოში დაიღუპა.

მომხდარიდან მალევე სამართალდამცავებმა დავით სარალიძის განზრახ ჯგუფურად მკვლელობის საქმეზე — გიორგი ჯანაშია, ლევან დადუნაშვილის მკვლელობის საქმეზე კი გუგა ბარბაქაძე დააკავეს. პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილებით, გიორგი ჯანაშიას 9 წლითა და 9 თვით თავისუფლების აღკვეთა, ხოლო გუგა ბარბაქაძეს 10 წლითა და 6 თვით თავისუფლების აღკვეთა შეეფარდა.

თბილისის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება როგორც დაცვის, ასევე ბრალდების მხარემ გაასაჩივრა. თბილისის სააპელაციო სასამართლოს მოსამართლეთა პალატამ ხორავას ქუჩაზე მომხდარი მკვლელობის საქმეზე საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება ნაწილობრივ შეცვალა. კერძოდ კი, გიორგი ჯანაშია დამნაშავედ ცნეს დავით სარალიძის მკვლელობაში ჯგუფურად, სხვა პირთან ერთად. მას სასჯელის სახით თავისუფლების აღკვეთა 11 წლითა და 3 თვის ვადით შეეფარდა. რაც შეეხება გუგა ბარბაქაძეს, სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილებით, მას მონაწილეობა არ მიუღია დავით სარალიძის მკვლელობაში. სააპელაციო სასამართლომ ძალაში დატოვა საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება ლევან დადუნაშვილის მკვლელობასთან დაკავშირებით და დამნაშავედ ცნო გუგა ბარბაქაძე. მას სასჯელი დაუმძიმდა და თავისუფლების აღკვეთა 11 წლითა და 3 თვის ვადით შეეფარდა. თბილისის საპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება უზენაეს სასამართლოში გაასაჩივრა როგორც დაცვის მხარემ, ასევე ბრალდების მხარემ.

უზენაესი სასამართლოს მოსამართლეთა კოლეგიამ გიორგი ჯანაშიასთან მხარეთა შორის მიღწეული საპროცესო შეთანხმება დაამტკიცა. გიორგი ჯანაშიას 11 წლითა და 3 თვით მისჯილი წლებიდან საბოლოოდ, 8 წლით თავისუფლების აღკვეთა შეეფარდა, საიდანაც 4 წელს პენიტენციურ დაწესებულებაში მოიხდის, დანარჩენი 4 წელი კი პირობითად ჩაეთვლება. მისჯილი წლებიდან გიორგი ჯანაშიას 2 წელი უკვე მოხდილი აქვს, შესაბამისად, ის პენიტენციურ დაწესებულებას 2021 წელს დატოვებს.

რაც შეეხება ლევან დადუნაშვილის მკვლელობაში მსჯავრდებულ გუგა ბარბაქაძეს, უზენაესმა სასამართლომ სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება უცვლელი დატოვა და ის მხოლოდ ლევან დადუნაშვილის მკვლელობაში ცნო დამნაშავედ. ბარბაქაძეს სასჯელიც უცვლელი დარჩა, მას 11 წლითა და 3 თვის ვადით აქვს თავისუფლების აღკვეთა შეფარდებული.

დავით სარალიძის ჯგუფურად დამამძიმებელ გარემოებებში ჩადენილი განზრახ მკვლელობის ბრალდებით სამართალდამცავებმა მიხეილ კალანდია 2019 წლის 4 ივნისს დააკავეს. მას აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობა 6 ივნისს შეეფარდა.

სოფელ ალგეთის მკვიდრნი სასმელ წყალსა და ბუნებრივ აირს ითხოვენ!

მარნეულის მუნიციპალიტეტის სოფელ ალგეთის მცხოვრებლებმა გუშინ პროტესტის ნიშნად წითელი ხიდისკენ მიმავალი ცენტრალური საავტომობილო გზა გადაკეტეს.

ადგილობრივები ამბობენ, რომ უკვე ორი წელია, სოფელს სასმელი წყალი არ მიეწოდება და ასევე, სოფელს არ აქვს ბუნებრივი გაზი.

აქციის მონაწილეების განმარტებით, ისინი რამდენჯერმე იყვნენ მარნეულის მერიაში, სადაც პრობლემის მოგვარებაზე დაპირებები მიიღეს, თუმცა არ შესრულებულა.

აქციის გამო წითელი ხიდისკენ მიმავალ გზაზე საცობი შეიქმნა, ძირითადად შეფერხებული იყო სატვირთო ავტომობილების გადაადგილება.

განცხადება

2020 წლის 18 მარტს, 12 საათზე, ჩატარდება სააქციო საზოგადოება „ოპიზარის“ აქციონერთა საერთო კრება შემდეგ მისამართზე:

ქ. თბილისი, მ. წინამძღვრიშვილის ქ. №121.

დღის წესრიგი:

1. 2019 წლის ბალანსის შედეგების განხილვა
(მომხს. ნ. გუმბერიძე);

2. მოგების განაწილების დამტკიცება
(მომხს. ც. მიქაძე);

3. სხვადასხვა საკითხები.

სს „ოპიზარის“ აქციონერთა რეგისტრაციის სააღრიცხვო დღეა 2020 წლის 3 თებერვალი.

დღის წესრიგთან დაკავშირებულ საკითხებზე ინფორმაციის მიღება აქციონერებს შეუძლიათ სააქციო საზოგადოება „ოპიზარის“ დირექციაში.

ტელეფონი 598555999

გუდაურში ძალადობის ბრალდებით ორი პირი დააკავეს

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მცხეთა-მთიანეთის პოლიციის დეპარტამენტის თანამშრომლებმა, ჩატარებული ოპერატიულ-საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, 1988 წელს დაბადებული ვ.წ. — ორი ან მეტი პირის მიმართ ჩადენილი ძალადობის ბრალდებით, 1993 წელს დაბადებული შ.ე. კი ჯგუფურად ჩადენილი ძალადობის ბრალდებით დააკავეს.

„გამოძიებით დადგინდა, რომ მიმდინარე წლის 23 თებერვალს გუდაურში მდებარე ერთ-ერთ კაფე-ბარში არაფხიზელ მდგომარეობაში მყოფი ვ.წ. და ამავე ბარის დაცვის რამდენიმე თანამშრომელი, მათ შორის შ.ე., ერთმანეთს ფიზიკურად დაუპირისპირდნენ. ვ.წ.-მ ფიზიკური და სიტყვიერი შეურაცხყოფა მიაყენა კაფე-ბარის მეპატრონესაც. პოლიციამ, ჩატარებული საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, მომხდარიდან მეორე დღეს, ვ.წ. — მცხეთაში, შ.ე. კი გუდაურში დააკავა. ინციდენტში მონაწილე სხვა პირების მიმართ ტარდება საგამოძიებო მოქმედებები“, — აცხადებენ შსს-ში.

დედისა და ბებიის მკვლელი 19 წლისაა!..

თბილისში დედისა და ბებიის მკვლელობის ბრალდებით 19 წლის ბიჭი დააკავეს. შემთხვევა ზაზაშვილის ქუჩაზე მოხდა. ინფორმაციას შინაგან საქმეთა სამინისტრო ავრცელებს.

როგორც უწყებაში აცხადებენ, თბილისის პოლიციის დეპარტამენტისა და დიდუბე-ჩუღურეთის სამმართველოს თანამშრომლებმა, ერთობლივად ჩატარებული ოპერატიულ-სამძებრო და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, დამამძიმებელ გარემოებაში ორი ან მეტი პირის მიმართ ოჯახში ჩადენილი განზრახ მკვლელობის ბრალდებით 2001 წელს დაბადებული — მ.ზ. ცხელ კვალზე დააკავეს.

„გამოძიებით დადგინდა, რომ ბრალდებულმა ბებია — 1946 წელს დაბადებული ზ.დ. და დედა — 1974 წელს დაბადებული თ.ზ., თბილისში, მათსავე საცხოვრებელ სახლში, წარსულში არსებული კონფლიქტის ნიადაგზე, მძინარე მდგომარეობაში ნაჯახით მოკლა. სამართალდამცველებმა ბრალდებული შემთხვევის ადგილზე დააკავეს. პოლიციამ დანაშაულის ჩადენის იარაღი ნივთმტკიცებად ამოიღო.“

ჩოღის პათეტიკა მზიანი ღამე?

ამ უაღრესად აქტუალურ კითხვაზე პასუხის გაცემის ძიებაშია ჟურნალი „მზიანი ღამე“, რომლის მეორე ნომერი ახლახან მიიღო მკითხველმა. შეკითხვა ურთულესია და რადგან წარსულისაკენ გაუხედავად არათუ მომავალს, სათანადოდ დღევანდელობასაც ვერ შეაფასებ, დახმარებისთვის ერის დიდ მამას – ილია ჭავჭავაძისეულ „ბედნიერ ერს“ უხმობს, რამეთუ ეს ლექსი „ესადაგება არჩევნების წინ აგორებულ ვნებათაღელვას, შეხლა-შემოხლას, განუკითხაობას, სიცრუეს, მტრობას, მართვის საადავეების ხელში ჩაგდების მცდელობას!“



ჟურნალი აქვეყნებს 2019 წლის 14 დეკემბერს თბილისში, თავისუფლების მოედანზე შეკრებილი ასიათასზე მეტი მოქალაქის წინაშე წარმოთქმულ ბიძინა ივანიშვილის სიტყვასა და სარედაქციო წერილს „მთავარია, რას უტოვებ ქვეყანასა და ხალხს“; ტექნიკურ მეცნიერებათა დოქტორის, პროფესორ თენგიზ აფხაზავას პუბლიკაციას ქუთაისის საერთაშორისო უნივერსიტეტის მიზნებსა და პერსპექტივებზე; წმიდა ტბელ-აბუსერიძის უნივერსიტეტის ლექტორების ია შალამბერიძისა და მზია შავაძის სტატიას სხალთის ეპარქიაში საგანათლებო-აღზრდელობით საქმიანობაზე; ეკონომიკის დოქტორ პაატა არუშიძის ნარკვევს საშუალო ბიზნესის განვითარებაში მიზნობრივი პროგრამების როლზე; აჭარის უმაღლესი საბჭოს ყოფილი დეპუტატის ალექსანდრე ჩიტიშვილის „საარჩევნო სისტემებს“; მანანა ძიძიშვილის რეპორტაჟს ბათუმის ახალი საჭიდაო მოედნის თაობაზე; ვეტერანი ფეხბურთელის ალექსანდრე ჩხარტიშვილის ნარკვევს აჭარული ფეხბურთის ისტორიაზე; მწერალ რამაზ სურმანიძის,ჟურნალისტ მაკა ძოწენიძის, მიხეილ ქავთარაძის, თემურ დოიაშვილის, მამუკა ჭანტურიას, მარიამ გეწაძის წერილებსა და სხვა მასალებს. მათგან განსაკუთრებით დამაფიქრებელია ჟურნალის რედაქტორის ავთანდილ ბერიძის წერილი კოლეგებისადმი „გაზეთმა რომ იგაზეთოს“. იგი მეგობარ ჟურნალისტებს განსასჯელად სთავაზობს გზას, თუ როგორ შეიძლება თავი დააღწიონ იმ უკიდურესად საგანგაშო მდგომარეობას, რომელშიც დღეს იმყოფებიან: გაზეთი ფინანსდება ბიუჯეტიდან, მაგრამ გამოდის მხოლოდ 800 ეგზემპლარად, თანაც ნახევარი არ იყიდება და მაკულატურაში ბარდება. ეს სატკივარი კარგა ხანია, საერთო ეროვნული სენი გახდა და უკვე ბევრს დაავიწყდა გაზეთები, რომლებიც ჩვენს მომცრო ქვეყანაში ნახევარმილიონს აღმატებული ტირაჟით გამოდიოდა, თანაც ოჯახს ვერ ნახავდი, 4-5 სხვადასხვა გაზეთი რომ არ ჰქონოდა გამოწერილი.

თავად „მზიანი ღამე“, რომელიც ბათუმში, მწვანე კონცხზე საქართველოს კათალიკოს-პატრიარქის ამავე სახელწოდების კომპლექს-სავანეში დააფუძნა უხუცესმა ჟურნალისტმა და საზოგადო მოღვაწემ ოთარ გაგუამ, ჯერჯერობით წელიწადში მხოლოდ ერთხელ გამოდის და იგი ამჯერად ერთ-ერთმა ქველმოქმედმა, აჭარის შინაგან საქმეთა მინისტრის ყოფილმა მოადგილემ, პოლკოვნიკმა გიორგი ასამბაძემ დააფინანსა.

ანა საკანდელიძე,
ჟურნალისტიკის მაგისტრი

საქართველოს
რესპუბლიკა
SAKARTVELOS
RESPUBLIKA
ა. ჩიქობავას (ყოფილი
საბჭოს) ქუჩა №42/5
ტელ: 296-72-86
მთავარი რედაქტორი
სპარტაკ ქოგულია
599 36-00-35
პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი
599 53-76-16;
ალეკო
ასლანიშვილი
599 56-81-86;
პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე
514 33-33-24
გამომცემლები:
შპს „ახალი საუკუნე –
გაზეთ „საქართველოს
რესპუბლიკის“ გამომცემელი“
599 53-76-16; 599 36-00-35
შპს „თანადგომა -1-გაზეთ
„საქართველოს რესპუბლიკის“
გამომცემელი“
ტ: 599 79-76-79
იბეჭდება გამომცემლობა
„კოლორ პრესში“
რკინიგზის ჩიხი №20
uac(უაკ)070.4(479.22)
ს–323
ISSN 2233-3851
9 772233 385001
ავტორთა
საყურადღებოდ!
რედაქციის მიერ
შეუკვეთავი მასალები
დაიბეჭდება
ავტორთა ხარჯით.
ავტორთა მოსაზრებები,
შესაძლოა, მუდამ
არ ემთხვეოდეს
რედაქციის პოზიციას.
ფაქტების სიზუსტეზე
პასუხს აგებენ
ავტორები.

ლიტერატურული პრემია საბა 2020 დაიწყო

წელს ლიტერატურულმა პრემიამ „საბა“ კონკურსი მეთვრამეტედ გამოაცხადა. ავტორებსა და გამომცემლებს უკვე შეუძლიათ, წიგნები წარადგინონ კონკურსზე. ამისათვის მათ უნდა შეავსონ ელექტრონული განაცხადი ვებგვერდზე saba.com.ge.

განაცხადების მიღება 10 მარტამდე გაგრძელდება, რის შემდეგაც „საბას“ ჟიურის წევრები წიგნების განხილვას შეუდგებიან და გასული წლის ლიტერატურულ მოსავალს შეაფასებენ.

წელს საუკეთესო წიგნებსა და ავტორებს ჟიური 9 ნომინაციაში გამოავლენს:

1. საუკეთესო რომანი;
2. საუკეთესო პოეტური კრებული;
3. საუკეთესო პროზაული კრებული;
4. საუკეთესო პიესა;
5. საუკეთესო ლიტერატურული დებიუტი;
6. საუკეთესო ლიტერატურული კრიტიკა;
7. საუკეთესო ესეისტიკა და დოკუმენტური პროზა;
8. უცხოური ნაწარმოების საუკეთესო ქართული თარგმანი.
9. ლიტერატურის განვითარებაში შეტანილი განსაკუთრებული წვლილი.

დაარსების დღიდან „საბამ“ არაერთი მწერლის ნაწარმოები და ღვაწლი შეაფასა, კერძოდ 4000-მდე წიგნი განიხილა, 162 პრემია გასცა და 128 ავტორი დაჯილდოვა (მათგან 17 ავტორი დაჯილდოვდა მინიმუმ 2-ჯერ და მეტჯერ).

წელს კონკურსის ფინალისტების ვინაობა ივლისში გახდება ცნობილი, ხოლო შემოდგომაზე დაჯილდოების საზეიმო ცერემონია გაიმართება.

პლასიდო დომინგო ქალებს ბოდიშს უხდის

ესპანელმა **საოპერო მომღერალმა პლასიდო დომინგომ იმ ქალებს, რომლებმაც ის სექსუალურ შევიწროებაში დაადანაშაულეს, მიყენებული ტკივილისთვის ბოდიში მოუხადა.**

პლასიდო დომინგომ ასევე განაცხადა, რომ პასუხისმგებლობას იღებს თავის ქმედებებზე, რომელიც ბოლო თვეების განმავლობაში გაუღერდა.

„ახლა მესმის, რომ ამ ქალებისაგან ზოგიერთებს შესაძლოა, ეშინოდათ, გულწრფელი ახსნა-განმარტება გაეკეთებინათ, ვინაიდან ნერვიულობდნენ, რომ ეს გავლენას მოახდენდა მათ კარიერაზე“, – განაცხადა პლასიდო დომინგომ.

ლეგენდარული მომღერალი სექსუალურ შევიწროებაში პირველად აგვისტოს დასაწყისში დაადანაშაულეს. 9 ქალი ამტკიცებდა, რომ დომინგო მათ სექსუალური ურთიერთობის სანაცვლოდ კარიერულ წინსვლაში დახმარებას ჰპირდებოდა. მოგვიანებით დომინგო სექსუალურ შევიწროებაში კიდევ 11-მა ქალმა დაადანაშაულა.

გარდაიცვალა ლეგენდარული მათემატიკოსი

NASA-ს **ლეგენდარული მათემატიკოსი კეტრინ ჯონსონი 101 წლისა გარდაიცვალა. ის კოსმონავტიკის ისტორიაში სხვადასხვა კოსმოსური ექსპედიციების ტრაექტორიების გამოთვლით შევიდა, მათ შორის მთვარეზე გაფრენის ექსპედიციის.**

NASA-ში განაცხადეს, რომ **„კეტრინ ჯონსონი გამორჩეული იყო თავისი უბადლო ჭკუით და იმით, რომ ნებისმიერი რასობრივი და სოციალური ბარიერების წინაშე არ ჩერდებოდა“.**

კეტრინ ჯონსონი NASA-ში 50-იანი წლების ბოლოდან მუშაობდა. ის სხვადასხვა ასტრონავტებისთვის, მათ შორის ჯონ გლენისთვის, სარაკეტო ტრაექტორიების პარამეტრებს ითვლიდა.

1969 წელს მის მიერ განხორციელებული გამოთვლები კომპიუტერულ პროგრამაში გამოიყენებოდა, რომლითაც პირველი სამთვარეო ექსპედიციის „აპოლონ 11“-ის მოდულის დაშვებისა და სტარტის პარამეტრების გამოთვლა ხდებოდა.

1970 წელს „აპოლონ 13“-ის მთვარისკენ წარუმატებელი ფრენის დროს კეტრინ ჯონსონმა სწრაფად შესძლო ხომალდის დედამიწაზე დაბრუნების ახალი პარამეტრების გამოთვლა, რა დროსაც, არა კომპიუტერები, არამედ საკუთარი ასტრონომიული ცხრილები გამოიყენა. მიიჩნევა, რომ ზუსტად ამან გადაარჩინა ასტრონავტები სიკვდილისგან.

მოგმართავთ გაზეთის მზრუნველთა საბჭოს სახელით

განათავსეთ რეკლამა ყველაზე საჭირო და სანდო გაზეთში და ამით ხელი შეუწყვეთ 101 წლის ყოველდღიური გამოცემის აღორძინებას.

გვჯერა, რედაქციის მიმართვას გამოეხმაურებიან ჩვენი ბიზნესმენ-ქველმოქმედნიც და გარკვეულ ფინანსურ დახმარებას გაუწევენ გაზეთს.

ჩვენი ანგარიშია: №GE19TB7601536020100009.

(შპს „ახალი საუკუნე“ – გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი).

„საქართველოს რესპუბლიკა“ შენი გაზეთია, აუცილებლად გამოიწერე, რასაც აქ წაიკითხავ, სხვაგან ვერ ნახავ!

უცხოური ვალუტის კურსი:
აშშ დოლარი - 2.8079; ევრო - 3.0370;
ბრიტანული გირვანქა სტერლინგი - 3.6233;
100 რუბლი - 4.2987; თურქული ლირა - 0.4567;
აზერბაიჯანული მანათი - 1.6559;
1000 სომხური დრამი - 5.8663.

ამინდი 26 თებერვლისთვის

აღმოსავლეთი საქართველო:				
ბარი -	ღამე	-1,	დღე	+11
მთიანი რაიონები -	ღამე	-11,	დღე	+9
დასავლეთი საქართველო:				
ბარი -	ღამე	-2,	დღე	+16
მთიანი რაიონები -	ღამე	-8	დღე	+10
თბილისი:	ღამე	0,	დღე	+10

დაგვირეკეთ, მოგვწერეთ:
ტელ: 296-72-86, 599-79-76-79, 568-82-09-84
ელ. ფოსტა: sakresp@mail.ru
და sakresp@top.ge
ვებ-გვერდი: www.sakresp.ge